პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 214 (19955) ხუთშაბათი, 17 სექტემბერი, 1987 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება

**16 სექტემბერს გაიმართა საქართველოს პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება, რომლის მონაწილეებმა განიხილეს სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პროექტი „სსრ კავშირის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის განვითარებისა და ჯანმრთელობის დაცვის გარდაქმნის მეთორმეტე ხუთწლედისა და 2000 წლამდე პერიოდის ძირითადი მიმართულებანი“ და რესპუბლიკის პარტიული და საბჭოთა ორგანოების ამოცანები.**

კრებაზე მოწვეული იყვნენ პარტიის საოლქო, საქალაქო, რაიონული კომიტეტების პირველი მდივნები, მინისტრები, სახელმწიფო კომიტეტების, სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეები, მედიცინის მუშაკთა აქტივი, მთელი რიგი ორგანიზაციებისა და დაწესებულებების ხელმძღვანელები, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო და სასაზღვრო ოლქების წარმომადგენლები, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მუშაკები.

კრების პრეზიდიუმში იყვნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **ჯ. ი. პატიაშვილი**, სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი **ე. ი. ჩაზოვი**, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრები და წევრობის კანდიდატები **ვ. ი. ალავიძე, ზ. ა. ანჩაბაძე, კ. ა. კოჩეტოვი, გ. დ. მგელაძე, გ. ა. მეტონიძე, ბ. ვ. ნიკოლსკი, ზ. ა. ჩხეიძე, ბ. ვ. ადლეიბა, ტ. ვ. ლორთქიფანიძე, ჯ. ვ. მარგველიძე, ფ. ს. სანაკოევი, ნ. რ. საჯაია.**

მოხსენება გააკეთა **ე. ი. ჩაზოვმა.**

კამათში მონაწილეობდნენ თბილისის ექიმთა დახელოვნების სახელმწიფო ინსტიტუტის რექტორი **ს. ნ. ხეჩინაშვილი**, საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის მდივანი **ნ. მ. დუმბაძე**, აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე **ვ. მ. ცუგბა**, ქ. მარნეულის საავადმყოფოს უფროსი მედდა **ი. ვ. დენისიუკი**, საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის მინისტრი **ქ. ქ. გარდაფხაძე**, რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მ. მ. ასათიანის სახელობის ფსიქიატრიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი **ა. დ. ზურაბაშვილი**, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი **ი. ა. მენაღარიშვილი**, სამხრეთ ოსეთის საოლქო საავადმყოფოს მთავარი ექიმი **ვ. გ. ცხოვრებოვი**, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის რექტორი **ა. ვ. ასათიანი**, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტების სამმართველოს უფროსი **ზ. გ. ლულუნიშვილი**, მედიცინის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე **ი. ი. კაციტაძე**, თბილისის ორჯონიკიძის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე **გ. გ. ქექელიძე**, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ი. გ. ქუთათელაძის სახელობის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტის დირექტორი **ე. პ. ქემერტელიძე**, საწარმოო გაერთიანება „საქქაღალდმრეწვის“ გენერალური დირექტორი **ო. ა. ფაცაცია**, ადიგენის რაიონის სოფელ ბოლაჯურის ამბულატორიის გამგე **ე. ლ. მამულაშვილი**, ქუთაისის საქალაქო სანეპიდსადგურის მთავარი ექიმი **თ. მ. სვანიძე**, თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო საწარმოო გაერთიანების ამწყობი ზეინკალი **მ. ა. ბლიზნიუკი.**

აქტივის კრებაზე გამოვიდა **ჯ. ი. პატიაშვილი.**

განხილულ საკითხზე კრების მონაწილეებმა მიიღეს რეზოლუცია. (საქინფორმი).

## დავუბრუნოთ ქართულ ჩაის ძველი დიდება!

### — ამბობენ რესპუბლიკის მეჩაიეები, ჩაის მრეწველობის მუშაკები, მეცნიერები, მშრომელები, რომლებიც ერთხმად იწონებენ სკკპ ცენტრალურ კომიტეტში გამართული თათბირის გადაწყვეტილებებს

**ამ დღეებში სკკპ ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა თათბირი, რომელზეც განიხილეს ჩაის წარმოების ზრდისა და ხარისხის გაუმჯობესების ღონისძიებანი. თათბირზე აღინიშნა, რომ ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის ივნისის პლენუმზე დასახული დაჩქარების პოლიტიკის პირველი რიგის ამოცანებს შორის წამოყენებულია მოთხოვნა უზრუნველვყოთ სურსათით ქვეყნის მოსახლეობის სტაბილური მომარაგება.**

**ცნობილია, რომ ძირითად სასურსათო პროდუქტებში ჩაიც შედის, მაგრამ მის წარმოებასთან და ხარისხთან დაკავშირებით რთული ვითარება შეიქმნა. ეს სერიოზულ კარდინალურ ღონისძიებებს მოითხოვს.**

**ქართული ჩაის ხარისხის გაუმჯობესება დღის მოთხოვნაა. ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის ყველა ერთგულ და ერთსულ უნდა გაისარჯოს. თათბირის მიერ აღძრული მეჩაიეობის მტკივნეული საკითხები რესპუბლიკის მშრომელებმა გულთან მიიტანეს. ბევრი მათგანი გვიზიარებს თავის მოსაზრებას. დღეს ორ მათგანს მკითხველ' ვთავაზობთ. რედაქცია მომავალშიც მთელი გულისყურით მოეკიდება ყოველ წინადადებას, მოსაზრებას და საერთო განსჯისთვის გამოიტანს მათ გაზეთის ფურცლებზე.**

### სურნელოვან ჩაის ხარისხოვანი ნედლეულიდან მივიღებთ

**საბჭოთა** კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტში სპეციალურ თათბირზე რომ ასე პრინციპულად იმსჯელეს მეჩაიეობის საჭირბოროტო საკითხებზე, ეს თავისთავად უკვე საქმეში გარდატეხის შეტანის მტკიცე პირობაა. ყველას დიდად გვაწუხებს, რომ ჩვენი ჩაის ხარისხი ბოლო ათწლეულებში ერთობ გაუარესდა. მომხმარებელი უკმაყოფილოა. ეს, როგორც თათბირზე ვალერიან მეუნარგიამ თქვა, ძირითადად იმის ბრალია, რომ ხარისხი დავივიწყეთ და რაოდენობას გამოვეკიდეთ.

მართლაც, როგორ შეიძლება ჰექტარზე 10-15 ტონა ფოთოლი მოკრიფოს კაცმა და თანაც მაღალხარისხოვანი: ამას ხომ მართლაც ძირითადად, ნედლეულის ხარისხის საზიანოდ ვაღწევთ.

მამაჩემი შოთა ტურავა 20 წელიწადია ჩაის ფოთოლს მანქანით კრეფს. სოციალისტურ შეჯიბრებაშიც ხშირად იმარჯვებს. მამაჩემს რამდენიმე წელია მეც მივბაძე. წელს ჩაის ფოთლის საკრეფი მანქანა „საქართველო“ საგულდაგულოდ მოვამზადე სამუშაოდ. საიუბილეო წლის ვალდებულებაც შევასრულე — 75 ტონა ნედლეული გავგზავნე ჩაის ფაბრიკაში. მართალია, მეტი წილი მაღალხარისხოვანი ნედლეულია, მაგრამ იქიდან როგორი ჩაი გამოვა, ამით მეც ხომ უნდა ვიყო დაინტერესებული. არა და ანაზღაურებას ნედლეულის ხარისხისა და რაოდენობის მიხედვით მაძლევენ. მთავარი კი ის არის, რომ მომხმარებელი იყოს კმაყოფილი. არის? თათბირიდანაც შევიტყვეთ და ჩვენც კარგად ვიცით, რომ უკმაყოფილოა. ეს სამწუხარო და გულსატკენია.

მახსოვს, ამ რამდენიმე წლის წინათ „კომუნისტის“ ფურცლებზე დაიბეჭდა ღვაწლმოსილი, ორგზის გმირი ქალის, თამარ ყუფუნიას წერილი „დავუბრუნოთ ქართულ ჩაის ძველი დიდება“. იმ ხანად მართლაც გაჩაღდა ბრძოლა ჩაის ხარისხის გასაუმჯობესებლად, მაგრამ ამან, ეტყობა, ნაყოფი ვერ გამოიღო, რადგან ჩვენი ჩაის პლანტაციები — ბუჩქები, უმოწყალო ექსპლოატაციის გამო ისე დაკნინდა, რომ მეტი და მაღალხარისხოვანი ნედლეულის მიღება გაჭირდა. ასე არ შეიძლება, სიტყვა უნდა შესრულდეს. **საჭიროდ მიმაჩნია პლანტაციები განახლდეს, თანაც რაოდენობის მეტისმეტ ზრდას ნუ გამოვეკიდებით. ამასთან საჭიროა ჩაის უხვმოსავლიანი ჯიშების გაშენება ამორტიზებული პლანტაციების მაგივრად.**

**ნუგზარ ტურავა,**
**გალის რაიონის ქვემო ბარღების ჩაის საბჭოთა მეურნეობის საიჯარო რგოლის ხელმძღვანელი, მექანიზატორი.**

### ჩაის ფოთოლი და ფინჯანი ჩაი

**ახლა** ძნელი დასაჯერებელია, რომ რამდენიმე ათწლეულის წინათ სამამულო ჩაი საერთაშორისო აუქციონზე საპრიზო ადგილს იკავებდა. ახლა ჩვენს ჩაიზე მხოლოდ საყვედურებს ვისმენთ. რა მოხდა?

ორმოცდაათი წელია ჩაის პრობლემებზე ვმუშაობ და გულახდილად ვამბობ: მთავარი უბედურება მინერალური სასუქების ინტენსიური შეტანის გზით ჩაის მოსავლიანობის ზრდისადმი სწრაფვაა. ცხოვრებამ დაადასტურა: ამით არა მარტო პროდუქციის ხარისხი უარესდება, არამედ სერიოზულად ზიანდება მცენარეც და ნიადაგიც. მათს, ასე ვთქვათ, გამოჯანსაღებას ათეული წლები სჭირდება. სასურველია დავგეგმოთ ჰექტარიდან არა 10-14, არამედ მაქსიმუმ 4-5 ტონა ფოთოლი. სხვათა შორის, მსოფლიოს არც ერთი ქვეყანა, სადაც მეჩაიეობას მისდევენ, მიუხედავად იმისა, რომ ფოთოლს მთელი წლის განმავლობაში კრეფენ, მეტის მიღებას არც გეგმავენ. ჩვენს მეჩაიეებს კი წელიწადში 5-6 თვე რჩებათ კრეფისათვის.

ცნობილია, რომ პროდუქციის ხარისხზე მოქმედებს აგრეთვე ჩაის ფოთლის კრეფის მეთოდი. პრაქტიკამ, მაგალითად, დაამტკიცა, რომ მჭრელი აპარატების გამოყენება რენტაბელური არ არის, ერთმანეთში აირევა ხოლმე როგორც ნაზი, ისე უხეში დუყები. კრეფა აუცილებლად შერჩევითი უნდა იყოს.

წინათ, მჭრელი აპარატების დანერგვამდე, სწორედ ასე კრეფდნენ. ამიტომ პროდუქციაში ნაზი ფრაქცია 90 პროცენტზე ნაკლები არ იყო. იგი მართლაც ნამდვილი პირველი ხარისხისაა. მეორე ხარისხში კი ნაზი ფრაქციის ნედლეულის შემცველობა 85 პროცენტს შეადგენდა. უხეშ ფრაქციის ფოთოლს საერთოდ არც ამუშავებდნენ.

ახლა მეჩაიეებმა გაიიოლეს ამოცანა, გააუბრალოეს სტანდარტი: ნაზი ფრაქციის შემცველობის პროცენტად პირველ ჯგუფშიც კი ჯერ 40, ხოლო შემდეგში 30 პროცენტი დააწესეს. რაოდენობისათვის ბრძოლის დაჩქარების გამო ასეთია შედეგი.

**დასკვნა? იგი გასაგებია. თუ გვინდა გემრიელი, სურნელოვანი ჩაი დავლიოთ, უნდა შევამციროთ დამზადების ოდენობა და აღვადგინოთ ჩაის ფოთლის მოყვანისა და კრეფის მეცნიერულად დასაბუთებული წესები. საჭიროა აგრეთვე ოპერატიულად, გაუჭიანურებლად გადავწყვიტოთ ახალი პლანტაციების გაშენების პრობლემა, რათა ძველს მივცეთ საშუალება ძალა მოიკრიბოს. მხოლოდ ამ გზით შევძლებთ დავუბრუნოთ სამამულო ჩაის ძველი დიდება.**

**შალვა კერესელიძე,**
**სოციალისტური შრომის გმირი, ლენინური პრემიის ლაურეატი, პროფესორი (გაზ. „პრავდა“, 9. IX. 87 წ.).**



მალე დამთავრდება ჩაის კრეფა ქობულეთის რაიონის სოფელ ლეღვას კოლმეურნეობაში (სურათზე). წლევანდელ სეზონში მეჩაიეებმა მარტო ნედლეულის რაოდენობით კი არა, რაც მთავარია, ხარისხით გაგვახარეს. პლანტაციებიდან გადასამუშავებლად გეგმით გათვალისწინებული 2.865 ტონის ნაცვლად 2.950 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი გაიგზავნება.

ზ. სამსონიასი და გ. შარაშენიძის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

## გუშინ, დღეს, ხვალ

ფაქტი ◆ მოვლენა ◆ კომენტარი

**ჩვენში ტრადიციად დამკვიდრდა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის წლისთავს ახალ-ახალი შრომითი წარმატებებით შევეგებოთ. მეტი და მაღალხარისხოვანი მანგანუმის მოპოვებისათვის ჭიათურელ მაღაროელთა შორის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში**

### დაწინაურდა

დიმიტროვის სახელობის მაღაროთსამმართველოს კოლექტივი. მან მიმდინარე წლის რვა თვეში ქვეყნის მეტალურგიულ ქარხნებს გეგმის გადაჭარბებით ათასობით ტონა მაღალხარისხოვანი მანგანუმის კონცენტრატი გაუგზავნა. შრომის ნაყოფიერება გეგმასთან შედარებით 8,4 პროცენტით გაიზარდა, ხოლო პროდუქციის თვითღირებულების შემცირებით 796 ათასი მანეთია დაზოგილი.

ამით დიმიტროველებმა კარგი პირობა შექმნეს, რათა ხუთწლედის ორი წლის გეგმა დიდი ოქტომბრის 70 წლისთავისათვის შეასრულონ.

▼▼

**ცხაკაიას მეცხოველეობის სამეურნეობათაშორისო საწარმოს კოლექტივმა ოქტომბრის რევოლუციის 70 წლისთავისათვის იკისრა**

### გადიდებული ვალდებულება

რძისა და ხორცის სახელმწიფოსათვის ჩაბარების ორი წლის გეგმა 7 ნოემბრისათვის შესრულებინა. ამისათვის საწარმოს დირექციამ და პარტიულმა კომიტეტმა მთელი ძალები დარაზმეს და პირველი სექტემბრისათვის სახელმწიფოს მიჰყიდეს 2144 ცენტნერი რძე, 6867 ცენტნერი ხორცი.

რძისა და ხორცის წარმოება იმის წყალობით გაიზარდა, რომ დანერგეს ინტენსიური ტექნოლოგია, აქვთ საკვები ბაზა. საწარმოსთან შექმნილია საკვებმომპოვებელთა საიჯარო ბრიგადა, რომელიც ამჟამად საკვების წლინახევრის მარაგის შესაქმნელად იღვწის.

## სკკპ ცენტრალურ კომიტეტში, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალურ კომიტეტში

**სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ, საბჭოთა კავშირის პროფესიულ კავშირთა ცენტრალურმა საბჭომ და საკავშირო ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილეს 1986/87 წლის ზამთრის პერიოდში პირუტყვის წარმატებული გამოზამთრებისათვის, მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და შესყიდვის გადიდებისათვის გაშლილი საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების შედეგები.**

ამ საკითხის გამო მიღებულ დადგენილებაში აღნიშნულია, რომ სოფლის მეურნეობისა და აგროსამრეწველო კომპლექსის სხვა დარგების მუშაკებმა, ასრულებდნენ რა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების, სასურსათო რესურსების გადიდების შესახებ პარტიის XXVII ყრილობის გადაწყვეტილებებს, ორგანიზებულად გამოაზამთრეს პირუტყვი, გაადიდეს მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და შესყიდვის მოცულობა. მთლიანად ქვეყანაში ძირითადად ინტენსიური ფაქტორების გზით არსებითად გაიზარდა ხორცის, რძის, კვერცხის წარმოება, შესრულდა საერთო-საკავშირო ფონდში ამ პროდუქტების მიწოდების გეგმა. 1986 წლის ოქტომბრიდან 1987 წლის აგვისტომდე სახელმწიფო რესურსებს წინა გამოზამთრებასთან შედარებით შემატა 5 პროცენტით მეტი რძე, 4 პროცენტით მეტი ხორცი და კვერცხი. გაიზარდა მეცხოველეობის პროდუქციის წარმოება საწარმოებისა და ორგანიზაციების დამხმარე სოფლის მეურნეობებში.

რუსეთის სფს, ბელორუსიის სს, ლიტვის სს, ლატვიის სს, ყირგიზეთის სს, სხვა მოკავშირე რესპუბლიკების მრავალი კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის ფერმებს მშრომელებმა საკვების რაციონალური გამოყენების, ინტენსიური ტექნოლოგიების, სამეურნეო ანგარიშის, კოლექტიური და ოჯახური იჯარის, შრომის ორგანიზაციისა და სტიმულირების სხვა პროგრესული ფორმების დანერგვის, წარმოების კულტურის გაუმჯობესების საფუძველზე გაზარდეს პირუტყვისა და ფრინველის პროდუქტიულობა, ვადამდე შეასრულეს გეგმები და სოციალისტური ვალდებულებანი, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს სსრ კავშირის სასურსათო პროგრამის რეალიზაციაში.

პირუტყვის წარმატებულ გამოზამთრებას ხელი შეუწყო იმან, რომ ხორციელდებოდა საწარმოთა დამოუკიდებლობის შემდგომი გაფართოების, მართვისა და მეურნეობრიობის ეკონომიკური მექანიზმის სრულყოფის ღონისძიებანი ქვეყნის აგროსამრეწველო კომპლექსში, აგრეთვე ცენტრში და ადგილებზე წარმოებდა ორგანიზატორული მუშაობა, რომელიც მიზნად ისახავდა მაღალი საბოლოო შედეგების მიღწევისათვის, ფერმის მუშაკთა შრომითი და საზოგადოებრივი აქტიურობის ზრდის, მათი კულტურულ-საყოფაცხოვრებო, სამედიცინო და სავაჭრო მომსახურების გაუმჯობესებისათვის გაჩაღებული სოციალისტური შეჯიბრების ქმედითობის გაძლიერებას.

ამავე დროს აგროსამრეწველო კომპლექსის მთელმა რიგმა კოლმეურნეობებმა, საბჭოთა მეურნეობებმა, სხვა საწარმოებმა და გაერთიანებებმა სრულად ვერ გამოიყენეს არსებული საწარმოო პოტენციალი მეცხოველეობის პროდუქციის წარმოების დაჩქარებული ზრდისათვის. უკრაინის სს და მოლდავეთის სს რესპუბლიკების, ჩეჩნეთ-ინგუშეთის ასს რესპუბლიკის, ასტრახანის, ფსკოვის, ვოლგოგრადის, როსტოვის, კურგანის, ტიუმენის, ვოროშილოვგრადის, დნეპროპეტროვსკის, კიროვოგრადის, ნიკოლაევის, ოდესისა და ზოგიერთი სხვა ოლქის მეურნეობებმა ზამთრის წინა პერიოდთან შედარებით შეამცირეს რძის წარმოების, პირუტყვისა და ფრინველის გამოზრდის მოცულობა. მიღწეული მიჯნების დათმობა გამოიწვია შრომით კოლექტივებში ორგანიზატორული და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის დონის დაქვეითებამ, მინდობილი საქმისათვის ხელმძღვანელი კადრებისა და სპეციალისტების პასუხისმგებლობის, შრომისა და ტექნოლოგიური დისციპლინის შესუსტებამ, აგრეთვე იმან, რომ ჯეროვნად არ ზრუნავდნენ ფერმების მშრომელებისათვის.

მიიჩნიეს, რომ მეცხოველეობაში ასეთი საქმის ვითარება შეუწყნარებელია. პარტიულმა, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებმა გადაუდებელი ღონისძიებები უნდა განახორციელონ არსებული ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად, ყოველი ღონე იხმარონ ხორცის, რძისა და მეცხოველეობის სხვა პროდუქციის წარმოებისა და შესყიდვის დასახული გეგმების შესასრულებლად, მაღალი ხარისხის კვების პროდუქტების გამოშვების გასადიდებლად.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ, საბჭოთა კავშირის პროფესიულ კავშირთა ცენტრალურმა საბჭომ და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა 1986/87 წლის ზამთრის პერიოდში პირუტყვის წარმატებული გამოზამთრებისათვის, მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და შესყიდვის გადიდებისათვის გაშლილი საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულებად ცნეს და სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის საპატიო სიგელებით დააჯილდოვეს:

**მოკავშირე რესპუბლიკები**

**რუსეთის სფსრ**
**ბელორუსიის სსრ**
**ლიტვის სსრ**
**ლატვიის სსრ**
**ყირგიზეთის სსრ**

**ავტონომიური რესპუბლიკები, მხარეები, ოლქები**

**რუსეთის სფს რესპუბლიკაში — კომის ასს, უდმურტეთის ასს, ჩუვაშეთის ასს რესპუბლიკები, კრასნოდარის მხარე, ზღვისპირეთის მხარე, ივანოვოს ოლქი, კამჩატკის ოლქი, მოსკოვის ოლქი, სვერდლოვსკის ოლქი;**

**უკრაინის სს რესპუბლიკაში — ვოლინსკის ოლქი, ივანო-ფრანკოვსკის ოლქი, ტერნოპოლის ოლქი, ხმელნიცკის ოლქი;**

**ბელორუსიის სს რესპუბლიკაში — ბრესტის ოლქი;**

**უზბეკეთის სს რესპუბლიკაში — ტაშკენტის ოლქი, ხორეზმის ოლქი;**

**საქართველოს სს რესპუბლიკაში — აჭარის ასს რესპუბლიკა.**

გამარჯვებულად ცნეს და სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის საპატიო სიგელებით დააჯილდოვეს:

117 სასოფლო რაიონი

კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სამეურნეობათშორისო და სხვა საწარმოების, სამრეწველო საწარმოებისა და ორგანიზაციების დამხმარე სოფლის მეურნეობათა 936 კოლექტივი.

**აღინიშნა ესტონეთის სსრ, ბელგოროდის, სარატოვის, ულიანოვსკის, მურმანსკის, ჟიტომირის, მოგილიოვის და კუსტანაის ოლქების დადებითი მუშაობა, რომლებმაც კარგ შედეგებს მიაღწიეს 1986/87 წლის ზამთრის პერიოდში მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და შესყიდვის გადიდებაში.**

მიზანშეწონილად ცნეს განაგრძონ საკავშირო სოციალისტური შეჯიბრება 1987/88 წლის ზამთრის პერიოდში პირუტყვის წარმატებული გამოზამთრებისათვის, მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და შესყიდვის გადიდებისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის 21 ოქტომბრის №995 დადგენილებით გათვალისწინებული პირობებით, მისი შედეგები შეაჯამონ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო პროფსაბჭოს 1986 წლის 5 მარტის № 305 დადგენილებით გათვალისწინებული წესით, სსრ კავშირის სახაგრომრეწვს, სხვა სამინისტროებსა და უწყებებს დაევალოთ პროფკავშირთა შესაბამის დარგობრივ ცენტრალურ კომიტეტებთან ერთად გადასინჯონ სოციალისტური შეჯიბრების პირობების მაჩვენებლების ნუსხა, ამასთან იხელმძღვანელონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებებით, სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის შესახებ პარტიისა და მთავრობის სხვა დოკუმენტებით, აგრეთვე გაითვალისწინონ მეცხოველეობის პროდუქციის მისაღებად საკუთარი წარმოების საკვების გამოყენება.

**მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურ კომიტეტებს, პარტიის სამხარეო, საოლქო, საოკრუგო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, სსრ კავშირის სამინისტროებსა და უწყებებს, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სახალხო დეპუტატთა სამხარეო, საოლქო, საოკრუგო, საქალაქო, რაიონულ, სასოფლო და სადაბო საბჭოებს, აღმასკომებს, აგროსამრეწველო კომიტეტებსა და გაერთიანებებს, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანოებს დაევალათ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად წარმართონ აგროსამრეწველო კომპლექსის საწარმოთა და ორგანიზაციათა შრომითი კოლექტივების მეცადინეობა იმისათვის, რომ მათ მაქსიმალურად გამოიყენონ შექმნილი საწარმოო პოტენციალი თითოეულ კოლმეურნეობაში, საბჭოთა მეურნეობაში, თითოეულ ფერმაში მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების მკვეთრი გადიდებისათვის.** მართვის ეკონომიკური მეთოდების მნიშვნელობის გათვალისწინებით უფრო მტკიცედ და მიზანმიმართულად გადაიყვანონ საწარმოები და გაერთიანებები სრულ სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებაზე, უფრო მჭიდროდ დაუკავშირონ საზოგადოებრივი მეცხოველეობის გაძღოლის ინტენსიური მეთოდები კოლექტიური და ოჯახური იჯარის უპირატესობებს.

წამოყენებულია წინადადება გააქტიურონ მუშაობა იმისათვის, რომ დროულად მოემზადონ კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და სხვა საწარმოები ზამთრის პირობებში სამუშაოდ. უნდა განხორციელდეს უხეში, წვნიანი და სხვა საკვების დაგროვების ღონისძიებანი, მთლიანად უზრუნველყონ ამ საკვებით საზოგადოებრივი მეცხოველეობა და პირუტყვის სულადობა, რომელიც მოქალაქეთა პირად საკუთრებაშია. მომავალი გამოზამთრების დასაწყისისათვის უნდა დამთავრდეს მეცხოველეობის სადგომების, საკვები საამქროების, მანქანებისა და მოწყობილობის მომზადება. განსაკუთრებით უნდა იზრუნონ მეცხოველეობის მუშაკთა მაღალნაყოფიერი შრომის, ყოფა-ცხოვრებისა და დასვენების სათანადო პირობების შექმნისათვის.

**სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ, საკავშირო პროფსაბჭომ და საკავშირო ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა მხურვალედ და გულითადად მიულოცეს აგროსამრეწველო კომპლექსის, სხვა სამინისტროებისა და უწყებების საწარმოთა და ორგანიზაციათა მუშაკებს — 1986/87 წლის ზამთრის პერიოდში პირუტყვის წარმატებული გამოზამთრებისათვის, მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და შესყიდვის გადიდებისათვის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულებს, აგრეთვე მის ყველა მონაწილეს და გამოთქვეს მტკიცე რწმენა, რომ ისინი კვლავაც თავდადებით იბრძოლებენ შრომაში მაღალი მაჩვენებლების მიღწევისათვის, ღირსეულად შეხვდებიან დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70 წლისთავს.**

## გამარჯვებულნი

**1986/87 წლის** ზამთრის პერიოდში პირუტყვის წარმატებით გამოზამთრების, მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების და შესყიდვის ზრდისათვის გაჩაღებულ საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულებად ცნეს და სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის საპატიო სიგელებით დააჯილდოვეს რაიონები და კოლექტივები:

**საქართველოს სს რესპუბლიკაში**

1. ლაგოდეხის რაიონი
2. სიღნაღის რაიონი
3. სოფელ დილიკაურის ი. მ. სვერდლოვის სახელობის კოლმეურნეობა, ზესტაფონის რაიონი
4. სოფელ ნარაზენის ი. ბ. სტალინის სახელობის კოლმეურნეობა, ზუგდიდის რაიონი
5. სოფელ ჭაბუკიანის ი. ჭავჭავაძის სახელობის კოლმეურნეობა, ლაგოდეხის რაიონი
6. სოფელ ჭანიეთის შოთა რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობა, მახარაძის რაიონი
7. სოფელ ახალი ხიბულის ს. მ. კიროვის სახელობის კოლმეურნეობა, ხობის რაიონი
8. სოფელ ორჯონიკიძის ს. ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობა, წალენჯიხის რაიონი
9. სოფელ ხიდისთავის ი. ბ. სტალინის სახელობის კოლმეურნეობა, ჩოხატაურის რაიონი
10. სოფელ ქვემოქედის ვაჟა-ფშაველას სახელობის კოლმეურნეობა, წითელწყაროს რაიონი
11. აბაშის მეცხოველეობის სამეურნეობათშორისო საწარმო
12. მარტყოფის საბჭოთა მეურნეობა, გარდაბნის რაიონი
13. ძევერის საბჭოთა მეურნეობა, გორის რაიონი
14. ქინძმარაულის საბჭოთა მეურნეობა, ყვარლის რაიონი
15. ნორიოს მეფრინველეობის ფაბრიკა, გარდაბნის რაიონი
16. ქუთაისის პურპროდუქტების კომბინატი.

**აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში**

1. გულრიფშის რაიონი
2. გაგრის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი საბჭოთა მეურნეობა-კომპლექსი.

## სიტყვისა და საქმის ერთიანობა გარდაქმნის მოთხოვნაა

**ᲓᲐᲓᲒᲐ წლიური სახალხო-სამეურნეო გეგმების რეალიზაციის გადამწყვეტი ეტაპი. იმაზე, თუ როგორ წარიმართება მუშაობა ახლა, მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული ხუთწლედის მეორე წლის დაძაბული დავალებების შესრულებისათვის რესპუბლიკის შრომითი კოლექტივების საქმიანობის საბოლოო შედეგი. ეს განაცხადეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში გამართული სელექტორული თათბირის მონაწილეებმა. თათბირზე გააანალიზეს ეკონომიკური და სოციალური განვითარების იანვარ-აგვისტოს სახელმწიფო გეგმის შესრულების შედეგები, დასახეს წლის დავალებათა უთუო შესრულების კონკრეტული გზები.**

**თათბირს უძღვებოდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ზ. ა. ჩხეიძე.**

**თათბირზე გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი ბ. ვ. ნიკოლსკი.**

თათბირის მონაწილეებმა, რომლებმაც გააანალიზეს წლის დამდეგიდან გაწეული მუშაობის შედეგები, აღნიშნეს, რომ რესპუბლიკის სახალხო-სამეურნეო კომპლექსის მთელ რიგ დარგებში მდგომარეობის სასიკეთო ცვლილებები ნელა მიმდინარეობს. უწინდებურად ბევრმა საწარმომ, ორგანიზაციამ, მეურნეობამ, კოლექტივმა ვერ შეასრულა გეგმები და ნაკისრი ვალდებულებანი. ამის გამო სამრეწველო წარმოების ფაქტობრივი მოცულობის ზრდის ტემპმა 102,4 პროცენტი შეადგინა, რაც გასული წლის რვა თვის განმავლობაში მიღწეულ დონეზე ნაკლებია. 265 საწარმომ სახელმწიფოს დააკლო 306,6 მილიონი მანეთის პროდუქცია, ამასთან 188 კოლექტივში მოცულობის შემცირება დაგეგმილიც კი იყო.

მოვალეთა შორის არიან მსუბუქი, ადგილობრივი მრეწველობის, საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროები, სატყეო მეურნეობის სამინისტრო, საწარმოო გაერთიანებები „საქთევზმრეწვი“, „ელმავალმშენებელი“, „ჩარხმშენებელი“, „საქქვანახშირი“, რუსთავის მეტალურგიული, ბათუმის ნავთობგადასამუშავებელი, თბილისის სამსხმელო მოწყობილობის, საიუველირო ქარხნები.

თათბირის მონაწილეებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრეს პროდუქციის, მათ შორის ფართო მოთხოვნის პროდუქციის წარმოების ზრდასა და მისი ხარისხის გაუმჯობესებას. სულ გამოშვებულია 79,2 მილიონ მანეთისაზე მეტი საქონელი, ვიდრე შესაბამის შარშანდელ პერიოდში. მაგრამ ხალხის მოთხოვნა ამ საქონელზე კვლავ მცირეა. უწინდებურად დაბალია მისი სამომხმარებლო თვისებები, ხარისხი. მაგალითად, „ს“-ინდექსიანი გაუმჯობესებული ხარისხის ნაწარმის ხვედრითი წილი სახალხო მოხმარების საქონლის საერთო მოცულობაში ძლივს აღემატება 4 პროცენტს. სწორედ ამან განაპირობა რესპუბლიკის მთელ რიგ რაიონებში სალაროს გეგმის შესრულებასთან დაკავშირებული სირთულეები, ეკონომიკის ზოგიერთი დარგის მძიმე ფინანსური მდგომარეობა, რაც სერიოზულ შეშფოთებას იწვევს. უახლოეს მომავალში ხომ პრაქტიკულად ყველა საწარმო გადავა სამეურნეო ანგარიშზე, რისთვისაც საჭიროა განსაკუთრებით ვიზრუნოთ ფინანსური სიტუაციის სტაბილურობისათვის.

ყოველმხრივ გააანალიზეს რესპუბლიკის აგროსამრეწველო კომპლექსის საქმის ვითარება. აღინიშნა, რომ ჩამორჩენაა საკვების დამზადებაში. ზოგან შემცირებულია სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობა. მეცხოველეობა, როგორც ცნობილია, აგროსამრეწველო კომპლექსის ერთ-ერთი ძირითადი დარგია. მაგრამ ბევრგან მას არარაციონალურად უძღვებიან. ეს, მაგალითად, შეინიშნება ყაზბეგის, ლენტეხის, ცაგერის, წულუკიძის, ვანის, დუშეთის, მესტიის, სიღნაღის რაიონების მეურნეობებში, სადაც იკლო რძისა და ხორცის წარმოებამ.

არასახარბიელო მდგომარეობაა კაპიტალურ მშენებლობაშიც. იანვარ-აგვისტოში ამოქმედებულია 640,5 მილიონი მანეთის ძირითადი ფონდები, რაც 81,9 მილიონით ნაკლებია გასული წლის ამავე პერიოდთან შედარებით. განსაკუთრებით შემაშფოთებელია მშენებლობის არარიტმულობა. მაგალითად, ძირითადი ფონდების ამოქმედების ცხრა თვის გეგმა რვა თვის განმავლობაში ნახევარზე ცოტა მეტად შესრულდა. ამას შეიძლება მოჰყვეს იერიშობანა წლის დამლევს, რაც აუცილებლად უარყოფითად იმოქმედებს ასამუშავებელი ობიექტების ხარისხზე. რა თქმა უნდა, დარგის მუშაკებს ბევრი სიძნელე აქვთ. მათ, კერძოდ, აღალატებენ საშენ მასალათა ინდუსტრია, რკინიგზის ტრანსპორტი, ზოგიერთი სხვა მომიჯნავე. მაგრამ მათაც აქვთ საკუთარი ხარვეზები სამშენებლო სამუშაოების ორგანიზაციაში, დაგეგმვაში. მშენებლობის სამინისტრო იმდენად საკითხებს კი არ უნდა აყენებდეს ზემდგომი ორგანოების წინაშე, რამდენადაც თავად უნდა ახმარდეს მთელ მეცადინეობას წამოჭრილი პრობლემების ოპერატიულ და ამომწურავ გადაჭრას.

სიტყვისა და საქმის ერთიანობა გარდაქმნის უცილობელი მოთხოვნა და პირობაა. მაგრამ ზოგიერთი სამეურნეო ხელმძღვანელი ხშირად უხვად იძლევა დაპირებებს, საქმით კი ვერ ამართლებს მათ. არაერთხელ ყოფილა, რომ ხე-ტყისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის სამინისტროს, ამიერკავკასიის რკინიგზის ხელმძღვანელები ირწმუნებოდნენ, შემჭიდროვებულ ვადებში აღმოვფხვრით ამ დარგების მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებსო. მაგრამ წელი მთავრდება, სიტუაცია კი პრაქტიკულად არ შეცვლილა.

აღნიშნეს რა, რომ რესპუბლიკის ეკონომიკის საქმის ვითარების სასიკეთო ცვლილებები უაღრესად ნელა მიმდინარეობს, თათბირის მონაწილეებმა უპასუხეს იმ კითხვასაც, თუ რა უნდა გაკეთდეს ამ პროცესის დასაჩქარებლად. პასუხი ერთმნიშვნელოვანი იყო: ძირფესვიანად უნდა შეიცვალოს აზროვნება, საქმისადმი დამოკიდებულება, მოკავშირეებად გავიხადოთ დარაზმულობა, დისციპლინა და პასუხისმგებლობა, ობიექტური და სუბიექტური მიზეზები კი არ მოვიშველიოთ ნაკლოვანებების გამო თავის გასამართლებლად, არამედ მთელი ძალ-ღონე, მთელი ენერგია მოვახმაროთ მათს აღმოფხვრას. მხოლოდ ამ პირობით შეიძლება წარმატებით განვახორციელოთ მიმდინარე წლის გეგმები და საიმედო საფუძველი შევუქმნათ მომავალი წლის კიდევ უფრო წარმატებულ სტარტს.

(საქინფორმი).

პარტიული ცხოვრება:
მიმდინარეობს ანგარიშვება-არჩევნები

# როცა ბევრია საზრუნავი

[illegible]

მანძილზე აქაურ შახტმშენებლებს კაპიტალური სამთო გვირაბების გაყვანის გეგმა ერთხელაც არ შეუსრულებიათ. ამან საგრძნობლად იმოქმედა ქვანახშირის ამოღებაზე ტყიბულის საბადოში, თანდათან იკლო სათბობის მოპოვების ტემპმა. მთელმა რიგმა შახტებმა იმის გამო, რომ დროულად არ გადაიხსნა ახალი ქვანახშირის ფენები, პოზიციები დათმეს. ცხადი იყო, საწარმოს კოლექტივს საჭირო დასკვნა უნდა გამოეტანა.

საწარმოს განახლებული ხელმძღვანელობის მოწადინებითა და კოლექტივის მონდომებით მდგომარეობა ძირფესვიანად შეიცვალა. შედეგმაც არ დააყოვნა. სამმართველომ მიმდინარე წლის განვლილი პერიოდის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა დავალება წარმატებით დაძლია. კიდევ უფრო სასახელო შრომითი მაჩვენებელი მოიპოვა სამთო მოსამზადებელ სამუშაოთა პირველმა უბანმა. ასეთ ვითარებაში შეიკრიბნენ თავის საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე უბნის პარტიული ჯგუფის წევრები.

პარტჯგუფორგმა ნ. თვალავაძემ პარტჯგუფის თითოეული წევრის მიერ გაწეული მუშაობის სრულყოფილი სურათი წარმოადგინა. მან განსაკუთრებით გაამახვილა ყურადღება იმაზე, თუ რა რეაგირება მოჰყვა წინა საანგარიშო კრებაზე გამოთქმულ კრიტიკულ შენიშვნებს, როგორ გადაწყდა მაშინ წამოჭრილი საწარმოო პრობლემები.

კრებაზე თითოეულმა კომუნისტმა გამოთქვა თავისი აზრი და გულისტკივილი. ითქვა, რომ სამმართველოს ყველა უბანზე ისე ვერ მიდის საქმე, როგორც ამას დღევანდელობა მოითხოვს. რა უშლის ამას ხელს? საქმის თვითდინებით სვლა, ზოგიერთი მუშაკის გულგრილობა და ინერტულობა.

ფუჭი ქანის დასატვირთავი ერთადერთი მანქანა დიდი ხანია მოძველდა, და მექანიზატორები მის შეკეთებას უნდებიან. აბა, რა შრომის ნაყოფიერება უნდა მოვთხოვოთ გამყვანებს, როცა ყოვნდება სანგრევიდან მონგრეული ფუჭი ქანის გამოტვირთვა. სანგრევის მექანიზაციის დაბალმა დონემ თავისი დაღი დააჩნია უბნის კარგ სამეურნეო მაჩვენებლებს.

უბნის მიწისქვეშა სამთო მექანიზმები შეკუმშული ჰაერის ენერგიით მუშაობენ. ამ ენერგიას შახტმშენებლებს მეზობელი, ლენინის სახელობის შახტის საკომპრესორო მეურნეობა აწვდის. აწვდისო, ვამბობთ, თორემ ეს რა მოწოდებაა. ლითო-

[illegible]

გამყვანებმა ერთ-ერთ ცვლაში ნაცვლად ორმოცდათერთმეტისა, მხოლოდ 10 მპური გაბურღეს. შეკუმშული ჰაერის სიმცირემ ჩაშალა ბრიგადის განრიგი.

წელს თებერვალში ამ უბანშიც დაინერგა დიდი სიახლე — იჯარული მეთოდი. მაგრამ ამას არ უძღოდა წინასწარი მოსამზადებელი მუშაობა, უბნის კოლექტივი ვერ გაარკვიეს საქმის ვითარებაში. აჩქარებას მეტად სავალალო შედეგი მოჰყვა: იჯარამ მხოლოდ სამი თვე იარსება და ჩაკვდა. პირველუბნელები, ისევ ძველებურად მუშაობას დაუბრუნდნენ.

მომავალი სამეურნეო წლის პირველ დღეებში გათვალისწინებულია შახტმშენის სამმართველოს ყველა უბნის სამეურნეო ანგარიშსა და თვითანაზღაურებაზე გადაყვანა. ეს სიახლე დიდი ნაბიჯი იქნება საწარმოს ეკონომიკის გარდაქმნის გზაზე, მაგრამ არ უნდა განმეორდეს ზემოთ მოყვანილი მაგალითი. ამის საშიშროება კი აქ ნამდვილად არის, ვინაიდან არ იგრძნობა არავითარი სერიოზული სამზადისი.

ამ და სხვა მტკივნეულ პრობლემებზე, ნაკლოვანებებზე პირუთვნელად ილაპარაკეს კრების მონაწილეებმა. პირდაპირ პარადოქსია, თქვა ელექტროზეინკალმა გ. გვეტაძემ, რომ ჩვენს სამმართველოს არ ძალუძს მიწისქვეშა სატვირთავ პუნქტში დადგას უბრალო ჯალამბარი საშახტო ვაგონების მანევრირებისათვის. ეს მძიმე სამუშაო აქ ისევ ხელით სრულდება.

აქ ისიც უნდა ითქვას, რომ საწარმოში ნაკლებად შესტკივათ გული ტექნიკის უსაფრთხოებისა და სანიტარიის დაცვისათვის, წარმოების კულტურისათვის. ხშირია შრომის დისციპლინის დარღვევები, სამუშაო დღის უმიზეზოდ გაცდენა. მაგალითად, წელს უბნის 13 მუშამ უმიზეზოდ 84 კაცდღე გააცდინა. სისტემატურად აცდენენ დღეებს უბნის მუშები თ. გაბუნია, გ. ცირეკიძე, ბ. აბუთიძე... ეს უკანასკნელი კი სპირტიან სასმელებსაც ეტანება. ყოველივე ამის შესახებ დაწვრილებით ილაპარაკეს უბნის კომუნისტებმა, მაგრამ კრინტი არ დაუძრავთ საწარმოში მომხდარ ტრაგიკულ შემთხვევაზე. მომხსენებელმაც და მოკამათეებმაც თავი ისე დაიჭირეს, თითქოს ეს მათ, როგორც კომუნისტებს, არ ეხებოდეთ, და არც დასკვნის გამოტანა ყოფილიყო საჭირო. ეს საბედისწერო შემთხვევა 5 ივნისს, ღამით მოხდა. მორიგი ცვლა შახტში წასასვლელად ემზადებოდა. მეორე უბანში, როგორც ყოველთვის, ჩვეულებრივი საქმიანი ვითარება სუფევდა. უბნის უფროსის მოადგილე, ახალგაზრდა ინჟინერი ვ. მინდიაშვილი განრიგს ჟურნალში ინიშნავდა. მოგვიანებით საგანრიგოში გამოცხადდა უზომოდ მთვრალი ბრიგადის წევრი დავით დალალიშვილი და სამუშაოზე წასვლა ითხოვა. უბნის ხელმძღვანელმა, როგორც წესი, მთვრალს უარი უთხრა. დ. დალალიშვილმა ეს იუკადრისა და ჯერ დებოში ატეხა, მერე თავის უფროსს სასიკვდილო ჭრილობა მიაყენა და სიცოცხლეს გამოასალმა.

ვინ არის დამნაშავე, ვის მიუძღვის ბრალი დატრიალებულ ტრაგედიაში? რა თქმა უნდა, უპირველესად საწარმოს კომუნისტებს. აქ ხომ ყველამ იცოდა, რომ დ. დალალიშვილი სისტემატურად სვამდა, აწიოკებდა თავის ცოლ-შვილს, აცდენდა სამუშაოს. მაგრამ დროზე არ მიიღეს ზომები. არადა, კოლექტივის უღირსი წევრის ამ დანაშაულით შახტმშენის სამმართველომ მატერიალურადაც და მორალურადაც დიდად იზარალა. ქალაქის სამრეწველო საწარმოთა შორის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების 1987 წლის პირველი ნახევრის შედეგებით მშენებლები ქულობრივი მაჩვენებლებით პირველ ადგილს იმსახურებდნენ. მაგრამ ეს საპრიზო ადგილი დაკარგეს.

კომუნისტებმა უკმაყოფილება გამოთქვეს იმის გამოც, რომ ქალაქის მაღაზიები ნაკლებად მარაგდება კარტოფილითა და ხილით. წამოიჭრა საყოფაცხოვრებო და კულტურული დასვენების სხვა მტკივნეული, საყურადღებო საკითხებიც.

პარტჯგუფის საქმიანობიდან ნათლად ჩანს, რომ ამ სამშენებლო ორგანიზაციის ცხოვრებაში გარდაქმნა დაიწყო, მართალია, ერთობ ნელა, მაგრამ მაინც სწორი გზით მიდის. პარტიის საქალაქო კომიტეტმა მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს კომუნისტების მიერ დაყენებული საჭირბოროტო საკითხების ოპერატიულ გადაჭრას, ახალი ვითარების შესაბამისად სრულყოს პარტიული ხელმძღვანელობის ფორმები და მეთოდები, კიდევ უფრო გაზარდოს თითოეული კომუნისტის ბრძოლისუნარიანობა და პასუხისმგებლობა მინდობილი საქმისათვის.

ვ. ცირეკიძე,
„კომუნისტის" საკ. კორ.





# ფერმა იჯარით მუშაობს

**დუშეთის** რაიონის არაგვისპირის მეხილეობა-მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის ეკონომიკაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს მეცხოველეობა. უკვე მეორე წელია ფერმა, რომელსაც მიხეილ ბუჩუკური ხელმძღვანელობს, კოლექტიური იჯარის მეთოდით მუშაობს. შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების პროგრესულმა ფორმამ მას საშუალება მისცა გაედიდებინა რძის წარმოება, ამასთან შეემცირებინა დანახარჯები, დაეზოგა საკვები.

ფერმაში 500 სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვია, აქედან 120 ძროხაა. სექტემბრის პირველ დეკადაში მეცხოველეებმა გაანაღდეს წლიური გეგმა და თითოეულ ძროხაზე მიიღეს 1400 კილოგრამი რძე, ამასთან 25 კილოგრამით გაზარდეს პროდუქტიულობა შარშანდელთან შედარებით. წლის დამლევამდე მეცხოველეები ვარაუდობენ ადგილობრივი ხევსურული ჯიშის ძროხების წველადობა 1800 კილოგრამამდე გაზარდონ.

**სურათებზე:** მწველავი ეთერ ქისტაური, მთავარი ზოოტექნიკოსი რევაზ სეთურიძე, საბჭოთა მეურნეობის დირექტორი ოლეგ ოდიშელიძე და მწველავი მზია ქისტაური (მარცხნიდან) აჯამებენ წველადობის შედეგებს; მოწინავე მწყემსი ნოდარ მინდელაური.

ი. დავითაშვილის ფოტო.
(საქინფორმის ფოტოქრონიკა).

# გუშინ, დღეს, ხვალ

ფაქტი ◆ მოვლენა ◆ კომენტარი

**მახარაძელ და გენიჩესკელ მშრომელთა მეგობრობა ტრადიციულია. უკრაინელი და ქართველი მეგობრები ყოველწლიურად ხვდებიან ერთმანეთს.**

## ნახევარი საუკუნე სრულდება

რაც მეგობრები ცვლიან დელეგაციებს და აჯამებენ სოციალისტურ შეჯიბრებაში მიღწეულ წარმატებებს. ერთმანეთს უზიარებენ მოწინავეთა გამოცდილებას.

ახლაც უკრაინის სსრ ხერსონის ოლქის გენიჩესკის რაიონის მშრომელთა დელეგაცია, რომელსაც ხელმძღვანელობს პარტიის გენიჩესკის რაიკომის პირველი მდივანი სერგეი სირენკო, მახარაძეში სტუმრობენ.

▼▼

**ჯერ კიდევ არის ისეთი სოფლები, სადაც არ არის მაღაზიები, ამიტომ დანერგა მშრომელთა სავაჭრო მომსახურების ახალი ფორმა**

## მაღაზია შინ

სოხუმის რაიონული სამომხმარებლო საზოგადოების კოლექტივმა, ყოველდღიური მოთხოვნის სამრეწველო და სასურსათო საქონლის ფარდული მოათავსეს სოფელ შრომაში თბილისის სავაჭრო ტექნიკუმის კურსდამთავრებულის ნ. მანგაძის სახლში. სოფლის მშრომელებს ასეთი სიახლე მოსწონთ.

ქვემო ეშერაში, აბჟაკვაში, ქვემო იაშთახვასა და სხვა სოფლებშიც გაიხსნება სავაჭრო წერტები სახლებში.

▼▼

**ბულგარეთში** სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების 48 წლისთავს მიეძღვნა საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოებაში გამართული თბილისის მშრომელთა წარმომადგენლების

## საზეიმო კრება

საბჭოთა კავშირ-ბულგარეთის მეგობრობის საზოგადოების საქართველოს განყოფილების განგეობის თავმჯდომარის მოადგილემ პროფესორმა რ. სირაძემ, ბულგარეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საყოველთაო-სახალხო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ დ. პეტროვმა ილაპარაკეს ბულგარელი და ქართველი ხალხების საუკუნოვან მეგობრობაზე, რომელიც წლითიწლობით მტკიცდება.

# პრაქტიკული საქმეებით გავაღრმაოთ გარდაქმნა

**1987-88 სასწავლო წლის პირველი მეცადინეობა მშრომელთა პოლიტიკური და ეკონომიკური განათლების სისტემაში**

**მშრომელთა პოლიტიკური და ეკონომიკური განათლების სისტემაში 1987-88 სასწავლო წლის პირველი მეცადინეობა ეძღვნება პარტიის მიერ შემუშავებული გარდაქმნის კონცეფციის თეორიულ და პრაქტიკულ დებულებათა შესწავლას. მეცადინეობის მიზანია დავეხმაროთ მსმენელებს უფრო ღრმად გაერკვნენ გარდაქმნის შინაარსში, მისი ახლანდელი ეტაპის თავისებურებებსა და ამოცანებში, იპოვონ თავიანთი ადგილი საბჭოთა საზოგადოების განახლების პროცესში, პრაქტიკული საქმეებით შეიტანონ წვლილი პარტიის დებულებებისა და მითითებების რეალიზაციაში, გახდნენ გარდაქმნის ნამდვილი მებრძოლები.**

მეცადინეობის მომზადება-მოწყობის დროს მიზანშეწონილია ვისარგებლოთ სანიმუშო გეგმით, რომელიც შეიცავს შემდეგ ძირითად საკითხებს:

**1. გარდაქმნის რევოლუციური ხასიათი და მისი თანამედროვე ეტაპის თავისებურებანი.** გარდაქმნა, როგორც რევოლუციურ ცვლილებათა ყოვლისმომცველი მთლიანი პროცესი. პარტია გარდაქმნის ინიციატორი და ხელმძღვანელია. სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმის გარდამტეხი ხასიათი. საზოგადოებაში გარდაქმნის გაღრმავება და ზრდა. გარდაქმნის ახლანდელი ეტაპის, როგორც კონსტრუქციული მუშაობის ეტაპის, სოციალურ-პოლიტიკური არსი. სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის ივნისის პლენუმი გარდაქმნის თანამედროვე ეტაპის პირველი რიგის ამოცანებისა და ეკონომიკური მართვის რადიკალური რეფორმის შესახებ.

**2. შრომითი კოლექტივი გარდაქმნის უმნიშვნელოვანესი რგოლია.** შრომითი კოლექტივი საზოგადოების ძირითადი უჯრედია. საწარმო (გაერთიანება) ერთიანი სახალხო-სამეურნეო კომპლექსის ძირითადი რგოლი, სამეურნეო მექანიზმის რადიკალურ ცვლილებათა საწყისი პუნქტია. მეურნეობრიობის ახალი მეთოდების ათვისება, შრომითი კოლექტივების უფლებათა გაფართოება და პასუხისმგებლობის გაძლიერება სრულ სამეურნეო ანგარიშზე გადასვლის პირობებში. მზადება სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ სსრ კავშირის კანონის შემოღებისათვის. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70 წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის, 1987 წლის გეგმების წარმატებით შესრულებისათვის შრომითი კოლექტივების სოციალისტური შეჯიბრების განვითარება.

**3. თითოეული საბჭოთა ადამიანის ეფექტიანი შრომა, მართვაში რეალური მონაწილეობა გარდაქმნის წარმატების გადამწყვეტი პირობაა.** საბჭოთა ადამიანების აქტიური ჩაბმა ჩვენი საზოგადოების ცხოვრების გარდაქმნაში. თითოეულისათვის წარმოების, მთელი ეკონომიკური ცხოვრების ბატონპატრონის გრძნობის ჩანერგვა. დემოკრატიზაციის პროცესის გაშლა, ხალხის თვითმმართველობის გაღრმავება. ადამიანთა შეგნების, ფსიქოლოგიის შეცვლა. კომუნისტთა და კომკავშირელთა ავანგარდული როლი ყველა საქმეში. ხუთწლედში პირადი წვლილის გადიდება თითოეულის მოვალეობაა.

მშრომელთა პოლიტიკური და ეკონომიკური სწავლება სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების, საზოგადოების ცხოვრების სხვადასხვა სფეროს გარდაქმნის, ადამიანის ფაქტორის გააქტიურების უმნიშვნელოვანესი ბერკეტია.

**გეგმით დასახული საკითხების შესწავლისას პირველწყაროებია:**

— ვ. ი. ლენინის ნაშრომები „დიადი თაოსნობა" (თხზ., ტ. 29, გვ. 477-503). „როგორ მოვაწყოთ შეჯიბრება" (თხზ., ტ. 26, გვ. 471-483); „საბჭოთა ხელისუფლების მორიგი ამოცანები" (თხზ., ტ. 27, გვ. 275-329);

— სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის მოხსენებანი პარტიის XXVII ყრილობაზე, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის, 1987 წლის იანვრისა და ივნისის პლენუმებზე, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVII ყრილობის მასალები. თბ., საბჭოთა საქართველო, 1986, გვ. 3-191; საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მასალები. 1985 წლის აპრილი. თბ., საბჭოთა საქართველო, 1985; საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მასალები. 1987 წლის 27-28 იანვარი. თბ., საბჭოთა საქართველო; საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მასალები. 1987 წლის 25-26 ივნისი. თბ., საბჭოთა საქართველო, 1987).

— სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ი. რიჟკოვის მოხსენება სსრ კავშირის მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეშვიდე სესიაზე („კომუნისტი", 1987, 30 ივნისი).

— მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისა და შემოქმედებითი კავშირების ხელმძღვანელებთან სკკპ ცენტრალურ კომიტეტში გამართული შეხვედრის მასალები („კომუნისტი", 1987, 16 ივლისი);

— სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნის ი. კ. ლიგაჩოვის სტატია „ადამიანის ფაქტორი, სამეურნეო ანგარიში და გარდაქმნა აგროსამრეწველო კომპლექსში" („კომუნისტი", 1987, № 4) და მისი გამოსვლა საქართველოს სსრ უმაღლესი სასწავლებლების რექტორების, პარტიულ ორგანიზაციათა მდივნების, კათედრების გამგეების თათბირზე („კომუნისტი", 1987, 3 ივნისი);

— სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნის ა. იაკოვლევის სტატია „საბჭოთა საზოგადოების თვისებრივად ახალი მდგომარეობის მიღწევა და საზოგადოებრივი მეცნიერებანი" („საქართველოს კომუნისტი", 1987, № 8) და მისი გამოსვლა პარტაქტივთან შეხვედრაზე ქ. კალუგაში („სოვეტსკაია კულტურა", 1987, 21 ივნისი).

— საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ჯ. ი. პატიაშვილის მოხსენება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის VI პლენუმზე „რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის ამოცანები გარდაქმნისა და პარტიის საკადრო პოლიტიკის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულების საქმეში" („კომუნისტი", 1987, 28 აპრილი).

— საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ჯ. ი. პატიაშვილის მოხსენება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის VII პლენუმზე „სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად ეკონომიკის მართვის ძირეული გარდაქმნისათვის რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის ამოცანები" („კომუნისტი", 1987, 28 ივლისი).

**მეცადინეობისათვის მზადებისას დამხმარე მასალად შეიძლება გამოვიყენოთ** ჟურნალ „პოლიტიჩესკოე სამოობრაზოვანიეს" მე-9 ნომერში გამოქვეყნებული თეორიული კონსულტაცია თემის საკითხებზე და ჟურნალის ამ ნომრის მოწინავე სტატია „განვახორციელოთ გარდაქმნის იდეები". პროპაგანდისტს ხელს შეუწყობს ჟურნალ „კომუნისტის" პუბლიკაციებიც: ლ. ი. აბალკინისა და ა. ი. ანჩიშკინის კითხვებზე პასუხი, რომელშიც გაშუქებულია წარმოებითი ურთიერთობის სისტემაში რევოლუციურ ცვლილებათა არსი, სრული სამეურნეო ანგარიშის როლი და ცენტრალიზებული მართვისა და დაგეგმვის პრინციპებთან მისი შეთავსების პირობები (1987, № 5); სტატიები: ე. გაიდარისა — „ხანმოკლე და ხანგრძლივი მიზნები ეკონომიკაში", რომელშიც დასახულია მიდგომა სამეურნეო საქმიანობის საბოლოო სოციალურად მნიშვნელოვანი შედეგების გაგებისადმი (1987, № 10) და ე. ნიასინისა — „საბჭოთა ეკონომიკა გარდატეხის მომენტში", რომელიც წარმოაჩენს ეკონომიკის მართვის რადიკალური რეფორმის კონცეფციის შინაარსს (1987, № 12).

პროპაგანდისტებს გამოადგებათ ჟურნალ „პოლიტიჩესკოე სამოობრაზოვანიეში" გამოქვეყნებული სტატიები: ვ. ბუდარინისა „... ვაკეთოთ საქმე და საქმე", რომელშიც ნაჩვენებია, თუ რა მნიშვნელობა აქვს ახალი ეკონომიკური პოლიტიკის შესახებ ლენინურ იდეებს თანამედროვეობისათვის (1987, № 6); ვ. ვიუნიცკისა — „გარდაქმნის რევოლუციური არსი", რომელიც განმარტავს გარდაქმნის რევოლუციურ ხასიათს, სოციალურ-პოლიტიკურ რევოლუციებთან მის მსგავსებასა და განსხვავებას, რადიკალური რეფორმის, როგორც სოციალიზმის პირობებში არსით რევოლუციური გარდაქმნების, საშუალების მნიშვნელობას (1987, № 4); კ. ულიბინისა — „გარდაქმნა ეკონომიკის დაჩქარების საშუალებაა", რომელიც აშუქებს სამეურნეო მექანიზმის გარდაქმნის, როგორც სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების წანამძღვრის, მეთოდოლოგიურ საკითხებს (1987, № 1). თემის უფრო კერძო ასპექტებისადმი მიძღვნილი სტატიები რეკომენდებულია უშუალოდ კონსულტაციათა ტექსტში.

**პროპაგანდისტებს მეცადინეობის მომზადებაში დაეხმარებათ რესპუბლიკური ჟურნალების პუბლიკაციები:** „გარდაქმნის წახნაგები" („საქართველოს კომუნისტი", 1987, № 4, გვ. 15-20); „ადამიანის ფაქტორის აქტივიზაციის გზით" („საქართველოს კომუნისტი", 1987, № 8, გვ. 24-31); „ახლა მთავარია გარდაქმნის პრაქტიკული შედეგები" („ეკონომისტი", 1987, № 6, გვ. 3-12); „გარდაქმნის თეორიიდან ცოცხალი პრაქტიკისაკენ" („ეკონომისტი", 1987, № 3, გვ. 3-12); „გარდაქმნის პირველი ნაბიჯები" („ეკონომისტი", 1987, № 2, გვ. 3-12).

გარდაქმნის არსის, მისი თანამედროვე ეტაპის თავისებურებებისა და ამოცანების უკეთ გარკვევისათვის, პარტიული ორგანიზაციების და შრომითი კოლექტივების პრაქტიკული მუშაობის სრულყოფის კონკრეტულ ამოცანათა კონსტრუქციული საქმიანი განხილვისათვის, მსმენელთა გააქტიურებისათვის მიზანშეწონილია დავსვათ მთელი რიგი კითხვები და მათ გარშემო შემდგომ მოვაწყოთ მსჯელობა. ამ კითხვებმა ხორცი უნდა შეასხას შესასწავლი მასალისადმი პრობლემური მიდგომის პრინციპს. მსმენელებმა უნდა გამოთქვან თავიანთი აზრი. პრობლემური სიტუაციების განხილვის დროს შესაძლებელი იქნება დაისახოს სწორი და პრაქტიკულად ეფექტიანი გადაწყვეტილებანი.

შეკითხვები შეიძლება იყოს ასეთი:

— რით უნდა გამოიხატებოდეს, თქვენი აზრით, თქვენი პარტიული ორგანიზაციის, შრომითი კოლექტივის (ბრიგადის, უბნის, საამქროს, ფერმისა და ა. შ.) მუშაობის ძირეული თვისებრივი გარდაქმნა. რა ცვლილებები უნდა მოვახდინოთ ამისათვის, რა ნაკლოვანებანი და ვიწრო ადგილები უნდა დავძლიოთ?

— რა წვლილის შეტანა შეუძლია თქვენი ბრიგადის (უბნის, საამქროს, ფერმის და ა. შ.) კოლექტივს საწარმოს (კოლმეურნეობის, საბჭოთა მეურნეობის, სკოლის, ინსტიტუტის, ორგანიზაციის და ა. შ.) მუშაობის გარდაქმნაში. რა საწარმოო-სოციალური, კულტურულ-საყოფაცხოვრებო საკითხები უნდა გადაწყდეს?

— თქვენი აზრით, რით უნდა გამოიხატებოდეს კონკრეტულად კომუნისტთა ავანგარდული როლი თქვენი კოლექტივის, პარტიული ორგანიზაციის მუშაობის გარდაქმნაში?

— რით უნდა გამოიხატებოდეს ფსიქოლოგიური გარდაქმნა თქვენს კოლექტივში? საბჭოთა ადამიანის რა თვისებების ჩამოყალიბებასა და დამკვიდრებას უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება იდეოლოგიურ მუშაობაში?

— რა ახალი პირობები იქმნება თქვენს კოლექტივში სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ კანონის სამოქმედოდ შემოღების შემდეგ? თქვენი აზრით, რა სიახლე შეაქვს მას კოლექტივის ცხოვრებაში?

**ყველაზე მომზადებულ მსმენელებს შეიძლება შევთავაზოთ სანიმუშო პრაქტიკულ დავალებებად:** დაამუშაონ წინადადებანი შრომითს კოლექტივში გარდაქმნის დაჩქარების შესახებ; გააანალიზონ უმნიშვნელოვანესი პრობლემები, რომლებიც დგება საწარმოში სრული სამეურნეო ანგარიშის შემოღების შემდეგ, კოლექტივში თვითმმართველობის განვითარების რეზერვები; განსაზღვრონ კოლექტიური იჯარის დამკვიდრება-სრულყოფაზე, საწარმოო საქმიანობის საბოლოო შედეგებზე, სოციალური სფეროს პირველი რიგის ამოცანების გადაწყვეტაზე, იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის დონის ამაღლებაზე შრომითი კოლექტივის გავლენის გაძლიერების ზოგიერთი ღონისძიება. მიზანშეწონილია მომავალში გავაანალიზოთ დავალებათა შესრულების შედეგებიც.

**განხილვის დროს გამოთქმული ყველა კრიტიკული შენიშვნა და პრაქტიკული წინადადება პროპაგანდისტებმა უნდა განაზოგადონ და გააცნონ პარტიულ კომიტეტს, ადმინისტრაციას, საზოგადოებრივ ორგანიზაციებს. პროპაგანდისტებსა და მსმენელებს შეუძლიათ გამოვიდნენ ამ წინადადებებით პარტიულ კრებებზე, შრომითი კოლექტივის კრებებზე. წინადადებათა გამო განხორციელებული ღონისძიებანი უნდა ვაცნობოთ მსმენელებს მომდევნო მეცადინეობებზე.**

# უცხოეთში

[illegible]

## საუბარი თეთრ სახლში

[illegible] ...რთებული შტატების პრეზიდენტის რონალდ რეიგანის საუბარი, რომელშიც მონაწილეობდნენ საბჭოთა კავშირის მხრივ — სსრ [illegible] ...სახელმწიფო მდივანი ჯორჯ შულცი, პრეზიდენტის თანაშემწე ეროვნული უშიშროების დარგში ფრენკ [illegible] ...ნხილვის საერთო ტონი გულახდილი, საქმიანი და კონსტრუქციული იყო".

## პირველი პლენარული სხდომა

**ნიუ-იორკი. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის 42-ე სესიის პირველ პლენარულ სხდომაზე მის თავმჯდომარედ ერთხმად აირჩიეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე პეტერ ფლორინი.**

მთელი მსოფლიოს მოსახლეობა ელის, რომ ეს სესია, რომელიც დაიწყო რთულ და ცვალებად საერთაშორისო სიტუაციაში, გამოიტანს გადაწყვეტილებებს, რომლებიც ხელს შეუწყობს არსებული პრობლემების მოწესრიგებას, განაცხადა ფლორინმა. ახლა არის მნიშვნელოვან დარგებში პოლიტიკური პროგრესის პოტენციალი — უთუოდ შესაძლებელია სასიკეთო შემობრუნება საერთაშორისო დაძაბულობის შენელებაში. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მხრივ კონსტრუქციული მეცადინეობის მეოხებით შესაძლებელია თვალსაზრისების დაახლოება და შეთანხმება ბევრ საკითხში. და უწინარეს ყოვლისა, ეს ეხება საყოველთაო მშვიდობის უზრუნველყოფისა და საერთაშორისო უშიშროების ფუნდამენტურ პრობლემებს.

◆ გფრ

## გრძელდება მშვიდობის მარში

**ბონი. ბონში გამართულ მიტინგზე ულოფ პალმეს ხსოვნის მშვიდობის მარშის მონაწილეებმა ხალხს მოუწოდეს ყველაფერი იღონონ ბირთვული არსენალების ლიკვიდაციისათვის, გააქტიურონ ბრძოლა ქვეყნად მშვიდობის შენარჩუნებისათვის.**

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის დედაქალაქის ცენტრალურ მოედანზე შეიკრიბნენ პოლიტიკური პარტიებისა და ომისსაწინააღმდეგო ორგანიზაციების წარმომადგენლები. მათ ბონს მოსთხოვეს შეწყვიტოს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის შემდგომი მილიტარიზაცია, მოსპოს ბუნდესვერის შეიარაღებაში არსებული „პერშინგ-1 ა" ბირთვული რაკეტები, რომელთა ქობინებს კონტროლს უწევს ვაშინგტონი.

ულოფ პალმეს ხსოვნის მშვიდობის მარშის ფარგლებში დასკვნითი საპროტესტო მიტინგი მოეწყობა ამა წლის 19 სექტემბერს ამერიკის ჰაილბრონის ბაზასთან, სადაც განლაგებულია „პერშინგ-2" ბირთვული რაკეტები.

◆ საფრანგეთი

## გაუშვეს ორი თანამგზავრი

**პარიზი. საფრანგეთის გვიანის კურუს კოსმოდრომზე დღეს მეცხრამეტედ გაუშვეს მატარებელი რაკეტა „არიანი". მან ორბიტაზე უნდა გაიყვანოს ორი კავშირგაბმულობის თანამგზავრი.** ეს რაკეტა შექმნა დასავლეთ ევროპის ქვეყნების კონსორციუმმა „არიანსპეისმა", რომელიც, კერძოდ, კომერციულ საფუძველზე უშვებს საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ცალკეული ქვეყნების კუთვნილ სხვადასხვა თანამგზავრს. ახლანდელი გაშვება არაერთხელ გადაიდო რაკეტის ერთ-ერთი საფეხურის ძრავებში უწესივრობის გამო.

კულტურის ქრონიკა

## უჩვენებს „ზიუდვესტ — 3"

**ქართული ფილმი გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში**

**ბონი. დასავლეთ გერმანიის ტელევიზიის „ზიუდვესტ-3" პროგრამა ზედიზედ სამი სადამოს მანძილზე გააცნობს მაყურებელს ქართველი კინემატოგრაფისტების შემოქმედებას.**

პირველად უჩვენებენ ელდარ შენგელაიას კინოკომედიას „ცისფერი მთები ანუ დაუჯერებელი ამბავი", შემდეგ კინოს მოყვარულები ნახავენ თენგიზ აბულაძის ფილმს „ვედრებას". გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ქართული ფილმების დემონსტრაციას დაასრულებს ირაკლი კვირიკაძის კომედია „ქალაქი ანარა".

## მეთოთხმეტე ტრადიციული

**გაიხსნა საერთაშორისო მუსიკალური სალონი**

**პარიზი. საფრანგეთის დედაქალაქში გაიხსნა მეთოთხმეტე ტრადიციული საერთაშორისო მუსიკალური სალონი, რომელშიც მონაწილეობს მსოფლიოს ათობით ქვეყნის 250-ზე მეტი გაერთიანება და საგარეოსავაჭრო კომპანია. ისინი უჩვენებენ 10 ათასზე მეტ სხვადასხვა მუსიკალურ საკრავს.**

სალონი დამაჯერებლად მოწმობს, რომ მუსიკალური საკრავების სამეფოში სრულუფლებიანი ბატონ-პატრონები გახდნენ მეცნიერება და გამოთვლითი ტექნიკა. მაგალითად, ექსპოზიციაში ფართოდ არის წარმოდგენილი ელექტრონული სინთეზატორები, რომლებსაც შეუძლიათ შეცვალონ მთელი ორკესტრი. კომპოზიტორებს ახლა ეხმარება კომპიუტერი, რომელიც „ავითარებს" მუსიკალურ თემებს, ახორციელებს ნაწარმოების არანჟირებას.

სალონის უჩვეულო „ვარსკვლავი" გახდა ფრანგი ოსტატის რაიმონ დევოს მიერ დამზადებული გიგანტური ვიოლონჩელი, რომლის სიმაღლე დაახლოებით შვიდმეტრ-ნახევარია. როგორც მისი შემქმნელი ამტკიცებს, ინსტრუმენტს აქვს შესანიშნავი ჟღერადობა, მაგრამ მისი დაკვრა მხოლოდ რამდენიმე მუსიკოსს შეუძლია, რადგან ძნელია ვეებერთელა და მძიმე ხემის ხელში დაჭერა.

სალონის ფარგლებში გათვალისწინებულია ვრცელი საკონცერტო პროგრამა.

ეს საინტერესოა

## აღმოაჩინეს ჩაძირული ხომალდი

**მაპუტუ.** სამხრეთ აფრიკის აღმოსავლეთ სანაპიროდან ათ კილომეტრზე აღმოაჩინეს სამგზავრო ხომალდის ნაშთები. სამხრეთაფრიკელმა გეოფიზიკოსმა ანდრის კორნელისენმა აღმოაჩინა საკურორტო დაბა კოფი-ბეის მახლობლად ინდოეთის ოკეანის აკვატორიის რადარული კვლევის დროს მომხდარი კატასტროფის კვალი. როგორც მან თქვა, ხომალდი 120 მეტრ სიღრმეზეა.

სპეციალისტები გამოთქვამენ აზრს, რომ ეს შეიძლება იყოს ბრიტანეთის ლაინერი „უარატა", რომელიც დაახლოებით ამ რაიონში გაქრა 1909 წლის მაისში. გემი ასრულებდა რეისს ავსტრალიიდან ინგლისში და მიჰყავდა 211 მგზავრი და ეკიპაჟი. გემის საბოლოო იდენტიფიკაცია მოხდება სპეციალური წყალქვეშა ტელეკამერების საშუალებით.



## დამნაშავეობა ამერიკაში: მხოლოდ ფაქტები

**ამერიკის შეერთებულ შტატებში ყოველ ორ წამში ხდება დანაშაული. შარშან რეგისტრირებულმა დანაშაულთა რიცხვმა გადააჭარბა რეკორდულ დონეს, რომელიც 1981 წელს აღინიშნა, და 13,2 მილიონს მიაღწია...**

**ასეთი უნუგეშო მონაცემებია გამოქვეყნებული გამოძიების ფედერალური ბიუროს მოხსენებაში. მისი ავტორები აღნიშნავენ, რომ ამ ბოლო წლებში ძალადობის გამოყენებით მძიმე დანაშაულობათა რიცხვის ზრდის ტენდენცია დაისახა. 1986 წელს მათი რიცხვი წინა წელთან შედარებით 12 პროცენტით გაიზარდა, მაშასადამე, ამჟამად დანაშაული ყოველ 21 წამში ხდება.**

**სურათზე:** კალიფორნიელი საბინა პიტმანი, დამნაშავეობის ზრდით შეშინებული, იძულებულია დამბაჩის სროლის კურსებზე იაროს თავდაცვის მიზნით.

საკდესის ფოტოქრონიკა.

ოფიციალური განყოფილება

# სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსა და სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკისაგან

**სამამულო კოსმონავტიკის ფუძემდებლის კ. ე. ციოლკოვსკის დაბადების 130 წლისთავთან დაკავშირებით მიმოქცევაში სამახსოვრო მონეტის გამოშვების შესახებ**

**1987 წლის** 17 სექტემბერს მიმოქცევაში გამოვა მანეთიანი სამახსოვრო მონეტა სამამულო კოსმონავტიკის ფუძემდებლის კ. ე. ციოლკოვსკის დაბადების 130 წლისთავთან დაკავშირებით.

მანეთიანი სამახსოვრო მონეტა მზადდება თეთრი ფერის სპილენძნიკელის შენადნობისაგან და აქვს 31 მილიმეტრი დიამეტრის წრეწირის ფორმა.

მონეტას შუბლსა და უკანასტარზე ირგვლივ გასდევს ამობურცული კანტი.

მონეტის შუბლზე გამოსახულია სსრ კავშირის სახელმწიფო გერბი და წარწერილია „სსრკ", „1 მანეთი" და „1987".

მონეტის უკანასტარზე ვარსკვლავიანი ცისა და რაკეტის ფონზე გამოსახულია ქალაქ მოსკოვში დადგმული კ. ე. ციოლკოვსკის ძეგლის ფრაგმენტი, მისგან მარცხნივ თარიღები „1857", „1935" და გარშემო წარწერა „კ. ე. ციოლკოვსკი".

მონეტის ზედაპირზე არის ორი ჩაღრმავებული წარწერა „ერთი მანეთი", რომლებიც ორი წერტილით არის გამოყოფილი.

სამახსოვრო მონეტა, რომელიც მიმოქცევაში გამოდის კ. ე. ციოლკოვსკის დაბადების 130 წლისთავთან დაკავშირებით, ამჟამად მიმოქცევაში არსებულ მონეტებთან ერთად სავალდებულოა მიიღონ სახელმწიფო, კოოპერაციულმა, საზოგადოებრივმა საწარმოებმა, დაწესებულებებმა, ორგანიზაციებმა, კოლმეურნეობებმა და ცალკეულმა პირებმა ყოველგვარი ფულადი გადასახდელებისას, აგრეთვე ბანკებმა, შემნახველმა სალაროებმა და კავშირგაბმულობის სამინისტროების საწარმოებმა მიმდინარე და საანგარიშსწორებო ანგარიშებზე ჩასარიცხავად, ანაბრებად, აკრედიტივებად და გზავნილებად ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე.



**სურათზე:** მონეტის შუბლი და უკანასტარი.

საკდესის ფოტო.

# დღესაც საფიქრალს რომ აღძრავს



**ყვარელი.** 1837 წელი.

ილიას დაბადება...

გაივლის ოცი წელი და იგი ყვარლის მთებს ეტყვის:

> აჰ მომწონს თავი, მეგობრებო, რომ დაბადება
> თქვენ შორისა მხვდა, ბუნებისა თქვენის ვარ შვილი.

გაივლის კიდევ ოთხი წელი და:

> ჩემო კალამო, ჩემო კარგო, რად გვინდა ტაში?
> რასაც ვემსახურებთ, მას ერთგულად კვლავ
> ვემსახუროთ,
> ჩვენ წმინდა სიტყვა უშიშარად მოვფინოთ ხალხში
> ბოროტთ საკლავად, — მათ სულთ-ხდომის სეირს
> ვუყუროთ.

საოცარია!

ისეა ნათქვამი, რომ გინდა ირგვლივ მიმოიხედო და ხმამაღლა, ყველას გასაგონად შესძახო:

— არ გვინდა ტაში!

— ჩვენ უნდა ერთგულად ვემსახუროთ ერს, ქვეყანას, მის აწმყოსა და მომავალს!

— ჩვენ უნდა ვთქვათ ჩვენი სათქმელი!

— წმინდა სიტყვა უნდა ვთქვათ და ვთქვათ უშიშრად!

და კიდევ:

— ჩვენ უნდა ვსდიოთ ახლა სხვა ვარსკვლავს, ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოობადი, ჩვენ უნდა მივცეთ მომავალი ხალხს.

დრო კი დიდია გასული.

ტაშმაც და „მხურვალე ოვაციებმაც“ ბევრი დრო წაიღეს.

ილია კი დღესაც ჩვენთან არის. იგი ჩვენს გვერდით მიაბიჯებს და კვლავ გვირჩევს, გვარიგებს, გვასწავლის.

კაცური კაცობით ცხოვრებას გვასწავლის.

— კაცია ადამიანი?!

უნდა იყოს.

დედაკაციც.

და, რაღა თქმა უნდა, მამაკაციც.

არ არის იოლი კაცური კაცობის გზით სიარული.

არც არასდროს ყოფილა.

ახლაც არ არის იოლი.

ეს ილიამ თავადაც კარგად იცის. ამიტომ გვარიგებს. ჩვენ გვარიგებს:

— კაცურის კაცობის თავი და თავი ღირსება ეს ორი გრძნობაა. თუ სამართლიანი ხარ და კაცთმოყვარე, მაშინ ყველაფერი ხარ, სავსე კაცი ხარ, იმიტომ რომ ილვაწებ და იმოქმედებ შეძლებისამებრ, რადგანაც უქმად ყოფნის ნებას გრძნობა სამართლიანობისა არ მოგცემს ამ წუთისოფელში, საცა ოფლის წურვით უნდა ყიდულობდეს თვითეული თავის კერძს ცხოვრებისას, და კეთილის მომქმედიც იქნები, რადგანაც ავკაცობის ნებას არ მოგცემს გრძნობა კაცთმოყვარეობისა. შეძლებისამებრ ილვაწე და იმოქმედე კეთილი — სხვას ამის მეტს არასა სთხოვს ქვეყანა თავის შვილსა.

მშობელი ქვეყნის ;ს თხოვნა შვილებმა უნდა შევასრულოთ.

ეს ჩვენი წმინდა ვალია.

მაგრამ, მამულიშვილური მოვალეობა რომ პირნათლად მოვიხადოთ, ილიამ ესეც გვითხრა და გვირჩია კიდეც:

— შვილმა უნდა იცოდეს, სად და რაზედ გაჩერდა მამა, რომ იქიდამ დაიწყოს ცხოვრების უღელის წევა. შვილს უნდა გამორკვეული ჰქონდეს, რაში იყო მართალი და კარგი მისი მამა, რაში იყო შემცდარი, რა ავი მიიჩნია კეთილად, და რა კეთილი — ავად, რა უმართავდა ხელს, რა აბრკოლებდა, რისთვის ირჯებოდა და მხნეობდა, და რისთვის და რაში უქმობდა. უამისოდ თვითონ შვილი, რაც გინდა მხნე და გამრჯელი იყოს, უხორთუმო სპილოს ეგვანება, დავით გურამიშვილისა არ იყოს, და ამ წუთისოფელში ვერას გახდება.

ამ მხრივ, ჩვენ ყველაფერი რიგზე არ უნდა გვქონდეს.

სადღაც რაღაც შეგვეშალა.

ყველამ კარგად ისიც არ ვიცით, ვინ და სად, რაზე შეჩერდა. ვერც ის გავარკვიეთ, ვინ და რაში იყო მართალი, ან ცდებოდა და არ იყო ამიტომ სწორი. ზოგჯერ ვერც ავისა და კარგის დროულად გარჩევა მოვახერხეთ, რასაც თან, არც თუ იშვიათად, ღირებულებათა გადაფასება სდევდა.

აკი ილიაც დადარდიანებული წერდა:

— ჩვენი ხალხისა და ქვეყნის ისტორია მეტად ბნელია და შეუმუშავებელი, ჩვენს ისტორიაში ან სულ არ არის ფაქტები ჩვენის ხალხის ცხოვრების შესახებ და, თუ არის კანტი-კუნტად სადმე, ისიც მეტად საეჭვოა. ჩვენ ვამბობთ მარტო იმისთანა ფაქტების თაობაზე, რომელშიაც ერთობ ხალხი იჩენს თავის თავსა, თავის თვითნებასა, თავის მონაწილეობას ისტორიაში. ერთი სიტყვით, ჩვენის შიდა-ცხოვრების ისტორია ჯერ ფარდააუხდელია და უცნობი ჩვენგან. ჩვენი „ქართლის ცხოვრება“ ხალხის ისტორია კი არ არის, მეფეთა ისტორიაა, და ხალხი კი როგორც მომქმედი პირი ისტორიისა, ჩრდილშია მიყენებული. თითქო ხალხის ისტორიის შესამეცნებლად საკმაოა კაცმა იცოდეს მარტო მეფეთა ისტორია. თითონ მეფეთა მოქმედებაც ნაჩვენებია საგარეო საქმეთა შესახებ და არა შესახებ შიდა-საქმეთა.

შიდა-საქმეთა!

საბჭოთა საქართველოს ისტორიულმა სკოლამ ივანე ჯავახიშვილის თაოსნობით ბევრი ილვაწა და შედეგიანადაც.

მაგრამ.

ჩვენ მაინც ვერ შევძელით ფარდა აგვეხადა საქართველოს შიდა-ცხოვრების მრავალსაუკუნოვანი ისტორიისათვის.

ისტორია სრულ, ობიექტურ ჭეშმარიტებას ითხოვს.

სხვაგვარად იგი, — ფარდა აუხდელი, — ისტორია აღარ არის.

ისტორიას თვალი უნდა გავუსწოროთ.

ამ საქმის გადადება ახლა მაინც უკვე აღარ გვარგებს.

ჩვენ უნდა წმინდა, მართალი სიტყვა უშიშრად მოვფინოთ ხალხში.

ახლა მაინც.

და რჩევა ისევ ილიას ვკითხოთ.

ვინ ვინ და ილია არ შეგვაცდენს:

— ყოველი კაცი, რომელსაც კი თვალებზედ ჩამოფარებული არა აქვს რა, ხედავს, რომ ცხოვრება, რაც გუშინ იყო, ის დღეს აღარ არის, რომ იგი იცვლება, მიდის წინ და მოაქვს განახლება ყოველისფერისა, წესი, ჩვეულება, აზრი, გრძნობა, ენა, რომელიც მაგათი გამომეტყველია, ყოველიფერი იცვლება მის ძლიერ გავლენისაგან. რაც გუშინ კაცს ჰგონებია დაურღვეველ ჭეშმარიტებად, რისთვისაც უცია პატივი, როგორც მიუცილებელ საჭიროებისათვის, ხშირად მოხდება ხოლმე, რომ ის დღეს გაუთლელ შეცდომად მიგვაჩნია, ასე რომ კიდეც გვიკვირს, ადრინდელს კაცს როგორღა სწამდა ამისთანა ცხადი სისულელე დაურღვეველ ჭეშმარიტებად, როგორ არა ჰქონია იმოდენა გონიერება და მხედველობა, რომ გაერჩივა თეთრი და შავი, შავისათვის შავი დაერქმია, თეთრისათვის — თეთრი.

აი, ასე: შავს შავი უნდა დავარქვათ და თეთრს — თეთრი.

ეს უნდა ვისწავლოთ. ბეჯითად და კარგად ვისწავლოთ.

ვისწავლოთ და ვასწავლოთ ბავშვობიდან.

რამეთუ, ყველაფერი ბავშვობიდან იწყება.

ეს ძველისძველი ხატოვანი გამოთქმა დღეს, ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების გარდაქმნის, მისი განახლებისა და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების პროცესში, სრულიად განსაკუთრებული მნიშვნელობის შინაარსს იძენს.

უკვე შეიძინა.

და ერთბაშად ცხადი გახდა, რომ ილია ცუდად გვისწავლია, რომ ვერ ჩავწვდით მის სიღრმეს და ვერც მისი ნააზრევი ალვიქვით მთლიანობაში. ამიტომ რაღაც ვერ გავიგეთ, სადღაც ეჭვი შეგვეპარა, ზოგი რამ საერთოდ არ ვიცით და სხვა მრავალ მიზეზთა გამო ბევრი საგულისხმო, საჭირო, აუცილებელიც კი არ გაგვითვალისწინებია.

ჩვენი ლიტერატურის დღევანდელი ყოფა.

ილიასათვის დღევანდელი, მაშინ 1886 წელი იყო:

— ვინ არ იცის რომ ვინც ჩვენში ლუკმა-პურის შოვნის ზრუნვას დროს დაარჩენს და მოიცლის, მარტო იგი იღებს კალამს და სწერს და ისიც მარტო მაშინ, როცა მოცლილია.

მოცლილია?

არა. ეს სხვა მოცლა იყო. ისეთი, რომელიც საერო, საქვეყნო, საზოგადო საქმის კეთებისაგან თავისუფალ დროს ხალხის კეთილდღეობისათვის ზრუნვაში დაღლილ, გავარჯიშებულ და აღგზნებულ გონებას ხელში კალამს ააღებინებდა და... იწერებოდა ის, რასაც ჩვენ დღესაც ვსწავლობთ.

კვლავაც ვისწავლით.

საერო საქმეებისაგან „მოცლილ“ ილიას კალამს კი იმ დროისათვის უკვე ბევრი რამ მოესწრო. მათ შორის: „მგზავრის წერილები“, „კაცია ადამიანი?!“, „მეფე დიმიტრი თავდადებული“, „სარჩობელაზედ“, „ქართვლის დედა“, „გლახის ნაამბობი“, „განდეგილი“ და სხვა მრავალი. 1888 წელს გაზეთ „ივერიაში“ დაიბეჭდა ქართული მხატვრული პროზის შედევრი „ოთარაანთ ქვრივი“. ეს იყო უკანასკნელი დიდი მხატვრული ტილო, რომელიც ილიამ შექმნა.

შექმნა საერო, საქვეყნო, საზოგადო საქმეებისაგან „თავისუფალ“ დროს.

მარტო იგი იღებს კალამს და სწერს, ვინც მოიცლისო.

ილია როდისღა იცლიდა?

კოხტა აფხაზის მოგონებიდან:

— სტუდენტობის პერიოდში ილია თვითგანათლებას დაეწაფა, დღე-ღამეში 18-20 საათს მუშაობდა და, რამდენჯერ მინახავს, რომ წიგნთან მჯდომარეს ჩასძინებია.

პეტერბურგის უნივერსიტეტში ილია ისმენდა პროფესორ დავით ჩუბინაშვილის ლექციებს. მისი საყვარელი პროფესორები იყვნენ ნ. ი. კოსტომაროვი, მ. მ. სპასულევიჩი, ვ. დ. სპასოვიჩი, კ. დ. კაველინი.

და მაინც თვითგანათლება.

დღე-ღამეში 18-20 საათი მუშაობა.

ხოლო „თავისუფალ “დროს ილია წერდა და... თარგმნიდა ა. ს. პუშკინს, მ. ი. ლერმონტოვს. განსაკუთრებულ პატივს იგი ალექსანდრე პუშკინს მიაგებდა და მიიჩნევდა ისეთ პოეტად, რომელმაც პირველმა დაანახვა რუსეთს სიტურფე და სიტკბო რუსულის ლექსისა და სიტყვიერებისა. სტუდენტობის წლებშივე შეისწავლა და საფუძვლიანადაც ილიამ რუსული და ევროპული ლიტერატურა, აგრეთვე ფილოსოფია და თარგმნა ვალტერ სკოტი, ფრიდრიხ შილერი, ანდრე შენიე, ტომას მური, ჰეინე, გოეთე და, რაღა თქმა უნდა, ბაირონი.

განსაკუთრებით დიდ პატივს სცემდა ილია ნ. გ. ჩერნიშევსკისა და ნ. ა. დობროლიუბოვს.

— მათის მართლა დაუვიწყარის ღვაწლით, მაგ თამამმა უარმყოფელმა მიმართულებამ ფეხი კარგად განზედ გაიდგა რუსეთში და ცხოვრების მოედანზედ დაიჭირა ადგილი. ამ ახალ მიმართულების მესვეური იყო სახელოვანი „სოვრემენიკი“.

უფრო მოგვიანებით ილია იტყვის:

— თქმა არ უნდა, რომ რუსულმა ლიტერატურამ დიდი ხელმძღვანელობა გაგვიწია წარმატების გზაზედ და დიდი ზემოქმედება იქონია ყოველს მასზედ, რაც ჩვენს სულიერს ძალ-ღონეს შეადგენს. ჩვენს გონებას, ჩვენს აზრს, ჩვენს გრძნობასა და ერთობ ჩვენს მიმართულებას ზედ დააჩნია მან თავისი ავ-კარგიანობა. არ არის დღეს ჩვენში არც ერთი მოღვაწე და მომქმედი კაცი მწერლობაში, თუ საზოგადო საქმეთა სარბიელზედ, რომ თავისუფალი იყოს ხსენებული ლიტერატურის ზეგავლენისაგან. საკვირველიც არ არის: რუსულმა სკოლამ — მეცნიერებამ გაგვიღო კარი განათლებისა და რუსულმავე ლიტერატურამ მოაწოდა საზრდო ჩვენს გონებასა და გამოჰკვება ჩვენი აზრი მოძრაობის გზაზედ.

სტუდენტობის წლებში დაიწერა „ქართვლის დედას“, „მუშა“, „გუთნის დედა“. ილიას შემთხვევითმა შეხვედრამ 1857 წელს ყაჩაღ გაუხარაშვილთან გვაჩუქა „რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდან“.

და „აჩრდილი“ — პოემის პირველი ვარიანტი დაწერილია 26 იანვარს 1859 წლისა, პეტერბურგს.

ილია:

— და მომევლინა მე კაცი დიდი, მყინვარზედ მდგომი მოხუცებული.

— მაგრამ საკუთრად არცა არაგვმა, არც თერგმა, არც ტყემ და არცა მთამა არ მიიზიდა მოხუცის თვალი.

— სრულ საქართველო მოჩანდა შორსა... იგი მოხუცი მას დააცქერდა.

მაინც რა გინდა, მოხუცო, ჩვენგან?

რას ხედავ შენ იმა მთაზედ მდგარი ისეთს, რასაც ჩვენ ვერ ვამჩნევთ?

იმა მოხუცის დიდებული ხმა:

— აგერ ორ-სამ კაცს რაღაც უგრძვნიათ, ქვეყნისა სახსრად ერთად მოდიან, ერთის საქმისთვის გაულვიძნიათ და ერთმანეთს კი არ ენდობიან. ერთმანეთისა მათ სიკეთე ჰშურთ, თუმც ერთისათვის თითქო ილვწიან; თვით ამხობენ მას, რის აღდგენაც ჰსურთ, თვით ჰშველიან მას, რასაც ებრძვიან.

აგერ კიდევ:

— ვინა შრომობდა და ვინა ჰძლება, ღმერთო, სად არის აქ სამართალი?

— აგერ ვაჭარიც ცბიერის ღიმით მოძმეთ ატყუებს, რა ჰყიდის ნივთსა, და ძმა მის მოკვდეს თუნდა შიმშილით, უნაღვლოდ განვლის ცხოვრების ხიდსა.

აგერ ტფილისიც!..

— ერთგზით შეჰხედავ და იქ ცხოვრება მართალ ცხოვრებად მოგეჩვენება: ჰლხინობენ კიდეც, კიდეც ჰხარობენ, ჰფიქრობენ, ჰგრძნობენ და ჰმოქმედობენ, ჰხედავ ფაცა-ფუცს და ყველგან ჟღივილს, უბედურ ცრემლთან ბედნიერ ღიმილს, — მაგრამ მათ ცრემლსა, ღიმილს თუ გრძნობას, ჭმუნვას, სიხარულს თუ მოქმედობას, ფრჩხილის ოდენიც არა აქვს აზრი და ყველა იგი თვალთმაქცი არი.

მაგრამ, როდემდე?

— ვიდრე ძე შენი არ გაიკვლევს ზოგად ცხოვრებას და მცნების ნათლით ზე-აღზიდულ, ამაღლებული, ჭკვით არ განსჭვრიტავს საზოგადო ცხოვრების დენას.

და მაშინ:

— ეკლის გვირგვინით აღარ ივლიან კაცთმოყვარება და სათნოება.

საუკუნეზე ბევრად უფრო დიდი დრო გავიდა მას შემდეგ.

1987 წლის 27 იანვარს ჩვენ მაინც მოგვაგონეს:

— ადამიანებს პატივს უნდა ვცემდეთ, ამხანაგებო, და მეტად ვენდობოდეთ.

— კაცია ადამიანი?!

— გაადამიანება კაცისა თავი და ბოლოა ყოველგვარის წვრთნისა, ზრდისა და განათლებისა. კაიკაცობა და კაი-კაცობის შემძლებლობა მარტო ზნეხასიათისგან ეძლევა ადამიანს.

ილია განაგრძობს ჩვენს შეგონებას და განაგრძობს ისეთი დაჟინებით, თითქოს შიშობს და დაეჭვებულიცაა — ვაი თუ ახლაც არ დამიჯერონო.

უნდა დავუჯეროთ.

1861 წელი — ილია საქართველოში დაბრუნდა.

1863 წელი — ილიამ დააარსა ჟურნალი „საქართველოს მოამბე“. აქ იხილეს პირველმა მკითხველებმა „კაცია ადამიანი?!“

ილია — ქუთაისის გუბერნიის საგანგებო მინდობილობათა მოხელე.

ილია — დუშეთის მაზრის მომრიგებელი მოსამართლე.

ილია — სათავადაზნაურო ბანკის თავმჯდომარე.

ილია —გაზეთ „ივერიის“ რედაქტორი.

იაკობ მანსვეტაშვილის მოგონებიდან:

— დაუღალავი მუშაკი იყო ილია. „ივერიის“ გამოსვლის პირველ ხანებში ისე მუშაობდა, გეგონებოდათ, ოცი წლის ჭაბუკიაო. 2-3 საათიც რომ ყოფილიყო ღამისა, ძილი და მოსვენება ფიქრადაც არ მოუვიდოდა ვიდრე ახლად დაბეჭდილს, სველ-სველს გაზეთს არ მიუტანდნენ.

ილია — ქართული დრამატიული საზოგადოების თავმჯდომარე.

ილია — ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების თავმჯდომარე.

როდისღა იცლიდა ილია?

როდის იღებდა ხელში კალამს?

როდის დაიწერა: „საქართველოს მოამბეზედ“, „რა მიზეზია, რომ კრიტიკა არა გვაქვს“ „წერილები ქართულ ლიტერატურაზე“, „ძველი საქართველოს ეკონომიური წყობის შესახებ“, „ერი და ისტორია“, „პედაგოგიის საფუძვლები“, „საზოგადოება და ზნეობა“, „ქვათა ღაღადი“...

ილიას გვერდით კი და მასთან ერთად იყვნენ აკაკი, ვაჟა, ალექსანდრე ყაზბეგი, რაფიელ ერისთავი, გიორგი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი...

და მაინც.

ტფილისი. 9 იანვარი. 1886 წელი.

— ჩვენი ლიტერატურის დღევანდელი ყოფა: ეგ საგანი მწვავე ტკივილია დღევანდელის დღისა, დღევანდელი დღის ვარამია.

ეს მაშინ.

ეხლა?

ჩვენს გასაგონად ილიამ აი რა გვითხრა:

— ლიტერატურული მოღვაწეობა ბუნებითად იმისთანა რამ არის, რომ დღე-მუდამ უკან უკან დევნა უნდა, დღე-მუდამ მის სფეროში ტრიალი, დღე-მუდამ ფიქრსა და ტვინის მოძრაობაში უნდა იყოს მისი მიმდევარი კაცი. ამისთანა გარემოება აიძულებს კაცს მთლად ამ მოღვაწეობაზედ იყოს გადაგებული, გადადებული და მაშინ იგი მოიმოქმედებს მას, რის შემძლეც არის თავის ნიჭითა და მომზადებულობითა. დღევანდელი ჩვენი ყოფა-ცხოვრება ამის ნებას არ იძლევა. ამისთანა გარემოებას კიდევ სხვა ზარალიც მოაქვს, რადგან არავის არ ეგულება, რომ ლიტერატურული შრომა და ჯაფა ცხოვრების საღსარს მომცემსო, არც არავინ ბედავს ამგვარის მოღვაწეობისათვის რიგიანად და საფუძვლიანად მოემზადოს. ქვეყნიერებაზე არ არის, ჩვენის ფიქრით, სხვა იმისთანა საგანი და მოღვაწეობა, რომ ასეთი ხანგრძლივი და საფუძვლიანი მომზადება უნდოდეს წინათვე, როგორც ლიტერატურა და ლიტერატორობაა. ცარიელი, მოუმზადებელი, უწვრთნელი ნიჭი არ-გადახალისებული მადანია და ამიტომაც ბევრს ვერას შეძლებს ლიტერატურის სარბიელზედ.

არ დავუჯეროთ?

ილია დაჟინებით განაგრძობს ჩვენს შეგონებას.

იმის იმედი აქვს, რომ გამგონი გაიგონებს და გაიგებს კიდეც.

ის რაც ილიას სტკივა დღევანდელი დიდი სატკივარიცაა.

ილია:

— ახლანდელი სკოლა მარტო იმის ცდაშია, რომ პატარა ბავშვის თავში რაც შესაძლოა, ბევრი ცოდნა დასტიოს, ყმაწვილს ბევრი რამ ასწავლოს მარტო ცოდნისა და სწავლისათვის და არა კაცის გაადამიანებისათვის.

— თუ სკოლას უნდა თავისი დანიშნულება შეასრულოს, ეგ სწავლა-ცოდნა ზნე-ხასიათის წვრთნასაც უნდა შეურჩიოს, ესე იგი იმ თვისების სწავლა-ცოდნა უნდა აძლიოს, რაც გონების გახსნილობასაცა შველის და ზნე-ხასიათის წვრთნასა და დამთავრებასაც უხდება და რგებს.

— ჩვენ არც ერთი კაცი არ გვახსოვს რომ სკოლიდან გამოსვლის უმალ თავი ეჩინოს მეცნიერებასა და სწავლა-ცოდნაში. ვისაც თავი უჩენია, იმას სკოლის შემდგომ უშრომია და ეს შრომა იმით ჰქონია გაადვილებული, რომ სკოლას მაინც ასე თუ ისე უცოდინებია, უსწავლებია, სად და როგორ გაიგნოს სწავლა-ცოდნის, მეცნიერების გზა.

და, ბოლოს;

— ეს ამისთანა აზრი სკოლის მოვალეობად ახალი ამბავი არ არის, ამის სათავეს საშუალო საუკუნეებში ვპოულობთ და მაშინდელ დიდბუნებოვან კაცებს არაერთხელ წარმოუთქვამთ. თუ რა ახირებულია კაცობრიობა ყოველ იმაში, რაც ერთხელ დაუჩემებია, ამას გვიმტკიცებს ამ აზრის ისტორია: აბა, ამ ჯერ კიდევ საშუალო საუკუნეებში გაღვიძებულ აზრს ამ მეცხრამეტე საუკუნეშიც თავისი კუთვნილი ადგილი ვერ დაუჭერია.

მას შემდეგ ასმა წელმა განვლო. მთელი ერთი საუკუნე გავიდა. ილია ჭავჭავაძის „პედაგოგიის საფუძვლები“ გაზეთ „ივერიაში“ 1888 წელს დაიბეჭდა.

კაცობრიობამ კი ცხოვრება მეოცე საუკუნეში განაგრძო.

ილიას კიდევ შეეძლო ეკითხა: — საშუალო საუკუნეებში გაღვიძებულმა აზრმა ვეღარც მეოცე საუკუნეში დაიჭირა თავისი კუთვნილი ადგილიო?

შეეძლო.

არ აცალეს.

ჩვენ უნდა ვუთხრათ:

— შუა საუკუნეებში გაღვიძებულმა აზრმა თავისი კუთვნილი ადგილი ვერც მეოცე საუკუნეში დაიჭირა.

მაგრამ, ილიას ისიც უნდა ვუთხრათ, რომ მეოცე საუკუნემ უმთავრესი მისეული სატკივარი წარსულს ჩააბარა და ის ნატვრაც აღასრულა, რომ:

— შრომისა ახსნა — ეგ არის ტვირთი ძლევამოსილის ამ საუკუნის.

უნდა ვუთხრათ, რომ:

— შემფერხებელი კაცთა ცხოვრების იგი ბორკილი დაიმსხვრა.

რომ ჩვენ:

— ჩვენს ენას ჩვენში სავარჯიშოდ დიდზე დიდი მოედანი მივეცით;

— ნატვრა საუნივერსიტეტო განათლების თაობაზე სინამდვილედ ვაქციეთ;

— ვიცით, სად რა სიმდიდრე ძევს, სად რა განძია. ვიცით საიდამ რა ამოვიღოთ, რა ხერხით და ოსტატობით ამოვიღოთ, რომ ჯაფაც ადვილი იყოს და ნაქაფარიც ბლომად;

— ისიც ვიცით, რომ ვაჭრობა და მრეწველობა ძალღონეს შეადგენს ერისას;

— ჩვენი საკუთარი სცენაც გვაქვს, ისეთი, რომელიც მსოფლიომ აღიარა;

— დღენიადაგ ვზრუნავთ, რომ ხელოვნება არ გადასცდეს თავის საკუთარ კანონებსა და მეცნიერება ჭეშმარიტებას, და დაე, არც ერთი და არც მეორე ნუ მოერიდება იმის გამოაშკარავებას, განკიცხვას, რაც ჩვენში საკიცხავია და ცუდი, დაე ორივემ იარონ ცხოვრების მდინარეში, მონახონ მარგალიტები და თუ ამ ამოკრეფაში ლაფი და ლექი ღან ამოჰყვება, რა ვუყოთ? ლაფი ჩამოვირეცხოთ, ჭუჭყი მოვიშოროთ, რომ მხოლოდ მარგალიტები დაგვრჩეს ჩვენის ცხოვრების სასახელოდ.

— ჭუჭყი მოვიშოროთ!

ესეც ილიას სიტყვებია. ამ ასოცდახუთი წლის წინ ნათქვამი.

დღესაც საფიქრალს რომ აღძრავს — ისეთი სიტყვები.

გარდაქმნის, ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების განახლების პროცესმა, რასაც დასაბამი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმმა მისცა, წინა პლანზე წამოსწია ზნეობრივი გაჯანსაღების პრობლემათა მთელი კომპლექსი. იგი, განვლილ ათწლეულებში ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის დამახასიათებელი მოვლენებისა და ახალგაზრდობის აღზრდის საქმეში დაშვებული შეცდომების საზღაურია.

იმიტომ, რომ:

— ბოლო წლებში წარმოქმნილმა სოციალური კოროზიის ელემენტებმა ნეგატიური გავლენა მოახდინეს საზოგადოების სულიერ განწყობილებაზე: გაიზარდა ფენა ადამიანებისა, მათ შორის ახალგაზრდობას შორის, რომელთათვის სიცოცხლის მიზნად იქცა მატერიალური კეთილდღეობა, ქონების მოხვეჭა ნებისმიერი საშუალებებით. მათი ცინიკური პოზიცია სულ უფრო თავხედურ ფორმებს იღებდა, შეგნებას უწამლავდა გარშემო მყოფთ, წარმოშობდა მომხმარებლურ [illegible]. სოციალური ზნეობის დაცემის მაჩვენებელი გახდა ლოთობის ზრდა, ნარკომანიის გავრცელება, დამნაშავეობის გადიდება.

— კაცია ადამიანი?!

ამ კითხვაზე პასუხისათვის ილიამ ერთი გონიერი ანდაზა მოიშველია: „მოყვარეს პირში უძრახე, მტერს პირს უკანაო“.

ყველა დროში და ნებისმიერ გარემოებაშია გასათვალისწინებელი ყოველივე გონივრული.

ილია:

— ჩვენა გვგონია, სიკეთე ჩვენის ეკონომიურის ამალლებისა და წყობისა იმაში ყოფილა, რომ მიწა, ესე იგი მამულ-დედულეთი, ცოტათ თუ ბევრად უფრო სამართლიანად მორიგებული ყოფილა ჩვენს ხალხში, ვიდრე სადმე სხვაგან. საკვირველია, რომ დღეს — აქამომდე უმამულო, უბინაო კაცი ჩვენში თითქმის არსად არ მოიპოვება. ამისთანა წყობამ მიჰმართა უსათუოდ ჩვენი ხალხი მიწათმოქმედებას, რომელიც უფრო დაუშრობელი და მკვიდრი წყაროა ხალხისა და ქვეყნის საზოგადოებისათვის, ვიდრე სხვა რამ. ხსნა ჩვენის ქვეყნისა ამ წყობაში უნდა ყოფილიყო, და ვიდრე ამ წყობას უფრთხილდებოდნენ ჩვენი მეფეები, იმ დრომდე ქვეყანა ჩვენი ღონიერი ყოფილა და გასძლოლია მტერს ასე თუ ისე.

ვერ ასცდა, სამწუხაროდ, ქართველი კაცი — მიწათმოქმედი კაცი — საყოველთაო ცდუნებას და თანდათან აქცია ზურგი მიწას, რომელიც უფრო მკვიდრი წყაროა ხალხისა და ქვეყნის საზრდოებისათვის, ვიდრე სხვა რამ.

— რა გითხრათ? რით გაგახაროთ?

ილია:

— ეხლაც ომია, ხოლო სისხლის ღვრისა — კი არა, ოფლის ღვრისა, ომი უსისხლო, მშვიდობიანი, წყნარი. ამ ომმა არც ბუკი იცის, არც ნაღარა. უბუკ-ნაღაროდ სთესავს, უბუკ-ნაღაროდ მკის. კოკისებურ, შხაპუნა ნიაღვარს — კი არა ჰგავს, რომ მთა და ბარი თან წაიღოს, მოარღვიოს, მოღაროს და მოგრაგნოს, „მდუმარე წვიმისამებრ ნაყოფის გამომცემელია“. არც რბევა იცის, არც ძარცვა. ეს მის ბუნებაში არ სწერია, თუ თითონ ადამიანმა გესლი ულმობელის სიხარბისა შიგ არ ჩააწვეთა, ბუნება არ მოუწამლა, არ მოუშხამა. ეს ომი შრომისაა და ვითარცა შრომა—პატიოსანია, ნამუსიანია, და ისეთივე თავმოსაწონებელი, თავ-გამოსაჩენი, როგორც უწინ თოფისა და ხმლის ომი იყო. ვაჟკაცობა ამისთანა ომში ბევრით წინ არის სისხლის ომის ვაჟკაცობაზე. ვაჟკაც გულადზე მშრომელი სამის გაფრენით მეტიაო, — იტყოდა გლეხკაცი თავისებურად ზედ გამოჭრით, თუ მართალს ათქმევინებთ. რა გლეხკაცი!.. თითონ დღევანდელი დღე ამას გვეუბნება, ამას ჰღაღადებს და ჩვენ გვესმის კი ეს ღაღადი? ვაი რომ არა!.. მაშ რა გითხრათ? რით გაგახაროთ?

ისევ ილიას მოვუსმინოთ:

— ჩვენი ძალ-ღონე, ჩვენის ცხოვრების და ვინაობის ბურჯი, ჩვენი მკვიდრი და უტყუარი შემნახველი, ჩვენი სიკეთე და სიმკვიდრე, მიწა და გუთანია. რომელს ერსაც ეს ორი საგანი ხელთ შერჩენია, იმას თავი იმოდენად კიდევ შეუნახავს, რომ შეუძლიან თავმომწონებით თქვას: მე ერი ვარ და მკვიდრი მიწა მაქვს სადღეისოთაც და სამერმისოდაც. სხვა ყოველივე ფუჭია და წარმავალი, ვერც ერის ვინაობას დაედება საძირკვლად და ვერც ერთი ჯიშის, ერთის სისხლისა და ხორცის ადამიანთ თავს ერთად მოუყრის და ვერც ერთად შექმნის.

და ისევ დავფიქრდეთ.

ილიასთან ერთად ვიფიქროთ.

დრო კი მიდის.

ილიამ მეოცე საუკუნეში შემოაბიჯა.

დაიღალა.

1900 წელი. ზაფხულსა და შემოდგომაზე ილია გერმანიასა და ავსტრიაში მკურნალობს. 1901 წელს — საფრანგეთში.

არტურ ლაისტის მოგონებიდან:

— ევროპაში ყოფნის პერიოდში ილია დიდი ცნობისმოყვარეობით ათვალიერებდა და აკვირდებოდა გერმანელების ცხოვრებას და კულტურას, მათ ყოველ წვრილმანს აქცევდა ყურადღებას, მაგრამ ლვიძლი სამშობლო მაინც ძლიერ იზიდავდა თავისაკენ. უცხოეთიდან დაბრუნებული ილია, როცა თბილისს მოუახლოვდა, ისე მოხიბლულ იქნა საყვარელი ქალაქის ხილვით, რომ თვალებზე ცრემლი მოადგა.

ცრემლმორეული ილია.

და მტირალი საქართველო.

მაგრამ ეს მერე იქნება.

ერთი წლის შემდეგ.

1907 წლის 30 აგვისტოს, ნაშუადღევის $1^1/_2$ საათზე. წიწამურის გზაზე.

მანამდე დრო კიდევ არის.

ცოტა დრო.

1906 წელი — ილია სახელმწიფო საბჭოს წევრი.

ილია:

— სახელმწიფო საბჭოში მე ამირჩია თავადაზნაურობამ. ეს იმას არ ნიშნავს, რომ საბჭოში მე მარტო თავადაზნაურთა საჭიროებაზე ვილაპარაკებ. თუ ამას ფიქრობენ ზოგნი ჩემნი ამომრჩეველნი, — ეს დიდი შეცდომაა. სახელმწიფო საბჭოში თუ თავადაზნაურთა სახელით შევდივარ, ეს მხოლოდ ფორმალური, იურიდიული მხარეა. არ დავფარავ და ვიტყვი: საბჭოში საქართველოს და ქართველთა ინტერესების დამცველი ვიქნები.

ილია დღესაც საქართველოს და ქართველების ინტერესებს იცავს.

ახლებურად განვჭვრიტოთ ზოგიერთი თეორიული წარმოდგენა და კონცეფცია.

ილიას ნააზრევს რომ შეეხება ისიც.

ახლებური მიდგომა, ხედვა, ფსიქოლოგია, შეგნება იმასაც მოითხოვს, რომ ჩვენი მამების სულიერ მემკვიდრეობასაც ახლებური გაგება, გააზრება და შეფასება სჭირდება.

და დაფასებაც ახლებურია საჭირო.

ილია დღეს.

ილია ჩვენთან ერთად.

ილია მადლიერი შთამომავლობის სულიერ სამყაროში.

აწ და მარადის!

**ოთარ ჭინჭლაძე.**

# უკვდავი სახება

## ილია ჭავჭავაძის იკონოგრაფიისათვის

**„თვალწინ** მიდგას ერთი მისი ფოტოგრაფიული სურათი, საზოგადოდ საუკეთესო ფოტოგრაფიული სურათი, რომელიც ოდესმე მინახავს. ილია, თუ არ ვცდები, ახლანდელი კომინტერნის, ყოფილი სასახლის ქუჩაზე დგას და ვილაცას უხმობს მარცხენა ხელის მაჩვენებელი თითის ოდნავ შესამჩნევი მოძრაობით. მეეტლეს, მეხილეს თუ გზად მიმავალ მეგობარს? მე მეჩვენება, თითქოს, ის ჩვენს თაობას უხმობდეს და ჩვენც მას ვუახლოვდებით. ამიტომ მისი უმოძრაო ფიგურა თითქო თანდათან იზრდება ჩვენი დედაქალაქის ქვების ფონზე. და ჩვენ ვგრძნობთ, რომ ჩვენს გადასულ წინაპართა შორის ჩვენთან ბევრი არ დგას ისე ახლოს, როგორც ეს ჯმუხი ადამიანი“, — წერდა გერონტი ქიქოძე 1936 წელს.

გ. ქიქოძეს მხედველობაში ჰქონდა ძველი ქარვასლის წინ გადაღებული ილია ჭავჭავაძის მართლაც ერთ-ერთი საუკეთესო ფოტოსურათი.

ვინ გადაიღო, როდის და რა პირობებში ილია ჭავჭავაძის ეს სურათი?

ამის შესახებ პირველხარისხოვან ცნობებს გვაწვდის ცნობილი ქართველი პოეტი და მთარგმნელი მიქელ პატარიძე „ლიტერატურულ საქართველოში“ 1937 წლის 10 სექტემბერს (№ 20) გამოქვეყნებულ წერილში: „ერთი დღე ილიას ცხოვრებიდან“, რომელშიც ვკითხულობთ:

„სრულებით შემთხვევით, მხატვარ დავით ალექსანდრეს ძე გურამიშვილის ოჯახში აღმოჩენილ იქნა ფოტონეგატივების კოლექცია. ამ ნეგატივებში არის სამი სურათი ილია ჭავჭავაძის, გადაღებული ყოფილ ერევნის მოედანზე.

...1904 წლის გაზაფხულის ერთ დღეს ილია სწვევია დავით გურამიშვილს მის ბინაზე, რომელიც იმყოფება ველიამინოვის (დღევანდელ შ. დადიანის ქ. № 10, პროფ. ნ. პოლიევქტოვ-ნიკოლაძის ცნობით, — გ. შ.) ქუჩაზე.

ილია და მხატვარი დავითი ერთად წასულან სასეირნოდ და როგორც კოლექციიდან ჩანს, ძველი თბილისის უბნები დაუთვალიერებიათ, გადაუღიათ სურათებიც (დაახლოებით 30). უმეტეს ნაწილად შერჩეულია საყოფაცხოვრებო მომენტები და ტიპები მიმავალი თბილისისა...

სურათები შესანიშნავად არის გადაღებული, მათ კომპოზიციას და მომენტების შერჩევას მხატვრის თვალი და გემოვნება ეტყობა. ილია გადაღებულია აწ უკვე დანგრეულ ქარვასლის შენობასთან ხელ აწეული“.

ილიას ამ ფოტოსურათების ავტორი — დავით ალექსანდრეს ძე გურამიშვილი (1857-1926) გახლდათ ქართული რეალისტური მხატვრობის ერთ-ერთი შესანიშნავი წარმომადგენელი (სამწუხაროდ, დღემდე მონოგრაფიულად შეუსწავლელი და სათანადოდ დაუფასებელი), რომელმაც პროფესიული დაოსტატების სკოლა თავის დროს პარიზში, მიუნხ[illegible] იარა[illegible] ბა მ[illegible] ილუს[illegible] ერთ [illegible] ბია... ით გ[illegible]



[illegible]ს ცოლისძმა, ხოლო ილია [illegible]ძეს ახლო ნათესავად ერ[illegible]ა მეუღლის — ოლღა გუ[illegible]ილის მხრიდან. [illegible]მად ჩვენ ხელთა გვაქვს [illegible] გურამიშვილის მიერ, [illegible]ც მ. პატარიძე წერს, 1904 წელს ძველი ქარვასლის წინ გადაღებული ილია ჭავჭავაძის სამივე ფოტოსურათი: ერთი ის გახლავთ, რომლის შესახებ გ. ქიქოძეც წერდა, — ილია აწეული მარცხენა ხელით ვილაცას უხმობს, ხოლო ორ დანარჩენ სურათზე ილიას ხელები ჩამოშვებული აქვს (მარჯვენა ხელით [illegible] იგი ლამაზად დაგრეხილ ხელჯოხს ეყრდნობა, მარცხენა კი პალტოს ჯიბეში ჩაუყვია), ოღონდ, მათ შორის განსხვავება ის არის, რომ ერთ მათგანზე ილია უფრო პირდაპირ იცქირება, მის უკან კი მოსეირნე მდიდრულად ჩაცმული ქალი და მამაკაციც მოჩანს.

სამივე ფოტოსურათი, თითქოს კინოკადრებიაო, მიყოლებით ენაცვლება ერთმანეთს და სამ სხვადასხვაგვარ პოზაში აღბეჭდავს ილიას დიდებულ მოძრაობას. ეს ფოტოსურათები რამდენიმე ეგზემპლარად დაცულია ჩვენს სიძველეთსაცავებში, რომლებიც ეტყობა დაბეჭდილია იმ დროს და იმ დავით გურამიშვილისეულ ნეგატივებიდან, რომელთა თაობაზე მ. პატარიძე 1937 წელს წერდა: „რამდენიმე წლის წინათ ილიას ნეგატივები დაიბეჭდა და ამონაბეჭდები გადაეცა მწერალთა მუზეუმს. მაშინ ამ ჯერ უცნობი სურათით ბევრი დაინტერესდა და ზოგმა კიდეც შეიძინა“.

სამწუხაროდ, დ. გურამიშვილისეულ ნეგატივებს ჯერჯერობით ვერსად მივაგენით, რაც შეეხება მათს დათარიღებას, ჩვენ ვფიქრობთ, რომ ისინი 1904 წლამდე უნდა იყოს გადაღებული, რადგან 1903 წლის 24 მაისს სოხუმში გადაღებულ სურათთან შედარებით, აქ ილია გაცილებით ჭარმაგად გამოიყურება.

**გურამ შარაძე.**

### ჟურნალის ახალი ნომერი

# ჩინებული საჩუქარი

**გამოვიდა** ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალის „დროშის“ მორიგი, მე-9 ნომერი, რომელიც მთლიანად ილია ჭავჭავაძის დაბადების 150 წლისთავის ეროვნულ ზეიმს ეძღვნება.

ნომრის მასალები გამსჭვალულია მძაფრი პუბლიცისტური პათოსით, ხოლო მხატვრული გაფორმება და ფოტოილუსტრაცია მეტყველ, მიმზიდველ ფონს უქმნის წარმოდგენილ პუბლიკაციებს.

„თუ სკოლას უნდა თავისი დანიშნულება შეასრულოს, ეგ სწავლა-ცოდნა ზნე-ხასიათის წვრთნასაც უნდა შეურჩიოს, ესე იგი იმ თვისების სწავლა-ცოდნა უნდა აძლიოს, რაც გონების გახსნილობასა შველის და ზნე-ხასიათის წვრთნასა და დამთავრებასაც უხდება და რგებს“.

დიდი ილიას ეს ბრძნული შეგონება, რითაც „დროშის“ ახალი ნომერი იხსნება, მარტო სასკოლო ასაკის პატარა მამულიშვილთათვის კი არ ჟღერს ესოდენ დამრიგებლურად და ცხოვრების გზის მანათობლად, არამედ ყველა პატრიოტისთვისაც, ვისაც კი გული შესტკიოდა და შესტკივა სამშობლოს ავ-კარგზე, ძნელბედობით აღსავსე წარსულს ჩაღრმავებია და ზნე-ხასიათის წვრთნაში სამომავლოდ აქსოვს გონების გახსნილობას.





ოთარ ჭინჭლაძის, ილია ბეროშვილის, ნანა ღვინეფაძის, ვასილ გვეტაძის, გიორგი საყვარელიძის, ვასილ იჭედლიშვილის, ლევან სანიკიძის, შოთა ბადრიძის, ლალი მარტაშვილის, შალვა მარკოზაშვილის, თენგიზ გიორგაძის ნარკვევები, წერილები და კორესპონდენციები წარმოაჩენენ თანამედროვე ქართული საზოგადოების პიროვნულ დამოკიდებულებებს შუბლგახსნილი პატრიოტის შთაგონებული ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი; აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველას, მიხეილ ჯავახიშვილის მღელვარე სტრიქონები კი უშრეტი სიყვარულითა და ღრმა სევდით ადგამენ ნათელს საქართველოს მართალ შვილს.

ჭეშმარიტად, მისი ხსოვნა უკვდავია, ვიდრე საქართველო იქნება! ამის დადასტურებაა ის, თუ როგორ ემზადება საბჭოთა საქართველო, მთელი ხალხი დიდი ილიას იუბილესათვის. ამაზე მეტყველებს „დროშის“ ეს მორიგი ნომერიც, რომელიც მართლაც ჩინებული საჩუქარია მკითხველისათვის.

# კვლავაც ჩვენი თანამედროვე

### ალექსანდრე სუმბათაშვილ-იუჟინის დაბადების 130 წლისთავის გამო



**შესრულდა** გამოჩენილი მსახიობის, ცნობილი დრამატურგისა და თეატრალური კრიტიკოსის ალექსანდრე სუმბათაშვილ-იუჟინის დაბადების 130 წლისთავი. ეს თარიღი ერთსა და იმავე დროს თეატრალური დღესასწაულიც არის და რუსული და ქართული კულტურების მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობის, რუსი და ქართველი ხალხის მეგობრობის დღესასწაულიც.

მითი იმის შესახებ, რომ დედამიწა სამ ვეშაპზე იდგა, საკმაოდ დიდხანს იყო გავრცელებული და მითადვე დარჩა, ხოლო აზრი ახალი რუსული თეატრის სამ ტიტანზე დაფუძნებისა ჭეშმარიტების ტოლფასი სინამდვილეა და რეალობად დარჩება. ეს ტიტანები არიან: სტანისლავსკი, ნემიროვიჩ-დანჩენკო, სუმბათაშვილ-იუჟინი.

მართალია, ვოლკოვის თეატრმა იაროსლავლში და პეტერბურგში დიმიტრიევსკიმ, შუშკიმ, ტრეპოლსკაიამ, კარატიგინმა, შემდეგ მოჩალოვმა, შჩეპკინმა, ერმოლოვამ, სადოვსკებმა, ფედოტოვამ, ლეშკოვსკაიამ, იაბლოჩკინამ და სხვებმა შექმნეს რუსული თვითმყოფი თეატრი და საქვეყნოდ გაუთქვეს მას სახელი, მაგრამ სწორედ სტანისლავსკიმ, ნემიროვიჩ-დანჩენკომ და სუმბათაშვილ-იუჟინმა არა მარტო თავიანთი პრაქტიკული მოღვაწეობით, არამედ თეორიულადაც ჩაუყარეს საფუძველი პროფესიულ, აკადემიურ, რეალისტურ თეატრს და მსოფლმხედველობრივად განსაზღვრეს მისი განვითარების პერსპექტივები. ამ სამ დიდ ტიტანს შორის დგას ალ. სუმბათაშვილ-იუჟინი — მსახიობი, გამოჩენილი დრამატურგი, პუბლიცისტი, ბრწყინვალე ორატორი, თეატრის თეორეტიკოსი და ორგანიზატორი, თავისი დროის ერთ-ერთი ყველაზე განათლებული ადამიანი, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრი, სახალხო არტისტი...

ალ. სუმბათაშვილ-იუჟინი, უპირველეს ყოვლისა, დიდი მსახიობია. იგი დღესაც რჩება დიდ ტრაგიკოსად, რომანტიკული პლანის შესანიშნავ მსახიობად, კომედიური ჟანრის უბადლო ოსტატად. იგი იყო მსახიობი არა მარტო თავისი პროფესიით, არამედ თავისი ბუნებითაც. შემთხვევითი როდია, რომ მან, ერმოლოვასა და ლენსკისთან ერთად, დაამკვიდრა მცირე თეატრში შექსპირის, შილერისა და ჰიუგოს ჰეროიკულ-რომანტიკული დრამატურგია. ცნობილი თეატრმცოდნე ამფითეატროვი აღნიშნავდა, რომ ალ. სუმბათაშვილ-იუჟინმა ეპოქა შექმნა რუსული თეატრის ისტორიაში. ალ. იუჟინმა, მ. ერმოლოვამ და ა. ლენსკიმ — მცირე თეატრის ბრწყინვალე სამეულმა — თეატრი დაუკავშირეს ქვეყნის დემოკრატიულ მოძრაობას, მხატვრული სიტყვით დაიწყეს მოწინავე იდეების ქადაგება. უფრო მეტიც, მათ მცირე თეატრი რუსეთის დემოკრატიული მოძრაობის ორგანულ ნაწილად აქციეს.

ალ. სუმბათაშვილ-იუჟინმა თეატრის სცენაზე შექმნა 400-ზე მეტი სახე. ამდენი როლი მხოლოდ იშვიათი ბედის მსახიობებს თუ უთამაშიათ თეატრში. ძირითადი ის არის, რომ მის მიერ შექმნილი ყველა სახე მაღალმხატვრულ დონეზე იდგა, ყოველი მათგანი სავსე იყო უდიდესი მხატვრული განზოგადებით, ცხოვრებისეული და თეატრალური სიმართლით. მის მიერ შექმნილი ყოველი სახე ინდივიდუალური და განსაკუთრებული იყო. ხელოვანს არ ჩავარდნია არც ერთი როლი, თუმცა მის მიერ დახატული ზოგიერთი სახე ცხარე კამათისა და დისკუსიის საგანი ხდება.

თვალსაჩინო წვლილი შეიტანა ალ. სუმბათაშვილ-იუჟინმა თავისი დროის რუსული დრამატურგიის განვითარებაში. იგი 17 დრამისა და კომედიის ავტორია. ჩვენი საუკუნის დასაწყისში მისი პიესები 4 ტომად გამოიცა. სუმბათაშვილის პიესები თარგმნილია მრავალ ენაზე — ფრანგულად, იტალიურად, გერმანულად, ჩეხურად, პოლონურად, სერბიულად და წარმატებით იდგმებოდა დასავლეთის თეატრებში. მისი პიესები გამოირჩეოდა მაღალი თეატრალობით, მძაფრი კონფლიქტებით, გამოკვეთილი მხატვრული სახეებითა და ჩინებული დიალოგით. ისინი ცნობილი მსახიობების — ერმოლოვას, ლენსკის, სადოვსკის, მედვედევას, სავინას, ვარლამოვისა და სხვათა შესრულებით დიდძალ მაყურებელს იზიდავდნენ. ალ. სუმბათაშვილის პიესებში ეპოქის მოწინავე იდეებით იყო გამსჭვალული. მისი გმირები პიროვნების განთავისუფლებისათვის მებრძოლი ადამიანები არიან, რომლებიც პროტესტს აცხადებენ ძალმომრეობისა და დესპოტიზმის წინააღმდეგ. ა. ლუნაჩარსკი წერდა, რომ ალ. სუმბათაშვილის პიესებში უშიშრად გამოაშკარავებული და გაშარჟებულია ბურჟუაზიული სინამდვილის მანკიერება.

ალ. სუმბათაშვილმა თავისი ყველაზე საუკეთესო დრამატული ნაწარმოები საქართველოს ისტორიულ წარსულს უძღვნა. „ღალატი“ სუმბათაშვილის დრამატურგიის გვირგვინია. აკაკი წერეთელი ამ ნაწარმოებს მსოფლიო შედევრების რიცხვს მიაკუთვნებდა.

არც ერთ პიესას ქართულ თეატრში, ქართულ დრამატურგიაში ისეთი ზემოქმედების ძალა არ ჰქონია და ისეთი რეზონანსი არ გამოუწვევია, როგორც „ღალატს“. „ღალატის“ ძალა, უპირველეს ყოვლისა, ის არის, რომ მისი სახით საქმე გვაქვს მაღალმხატვრულ ლიტერატურულ ნაწარმოებთან: მისი გმირები ეპოქისა და ერის თავისებურებათა მხატვრული განზოგადების შედეგად არის შექმნილი. რაც შეეხება ზეინაბის სახეს, იგი ჭეშმარიტად საკაცობრიო მნიშვნელობისაა. ის იმდენად ძლიერი და შთამბეჭდავია, რომ თეატრმცოდნეები მას ანტიგონეს, ორლეანელი ქალწულის, მედეას, ლედი მაკბეტისა და ნორას სიმაღლეზე აყენებენ.

ალ. სუმბათაშვილს ჭეშმარიტად ენციკლოპედიური განათლება ჰქონდა. იგი კარგად ერკვეოდა ფილოსოფიის, ესთეტიკის, იურისპრუდენციის საკითხებში, იყო დიდი მცოდნე ლიტერატურისა და ხელოვნების ისტორიისა. მან შექმნა სრულიად ორიგინალური ესთეტიკა, რომელიც თეატრალურ სამყაროში ცნობილია „სუმბათაშვილის თეატრალური ესთეტიკის“ სახელწოდებით. ალ. სუმბათაშვილი წლების განმავლობაში სათავეში ედგა მოსკოვის ლიტერატურულ-მხატვრულ წრეს. იგი დიდი მსახიობის ინიციატივით ჩამოყალიბდა და რუსეთის დიდ მწერლებსა და ხელოვნების მოღვაწეებს, მათ შორის ლ. ტოლსტოისა და ა. ჩეხოვს აერთიანებდა. იუჟინი დიდხანს იყო რუსეთის დრამატული მწერლობისა და კომპოზიტორების საზოგადოების თავმჯდომარე. რევოლუციის შემდეგ ალ. სუმბათაშვილი სათავეში ჩაუდგა ხელოვნების მუშაკთა სრულიად რუსეთის უმაღლეს სამხატვრო საბჭოს, რომელმაც დიდი წვლილი შეიტანა საბჭოთა ხელოვნების განვითარების საქმეში. იუჟინი მიჩნეულია „მცირე თეატრის ბრძენ მესაჭედ“. იგი 18 წლის განმავლობაში სათავეში ედგა მცირე თეატრს. მან პოლიტიკურ ქარტეხილებში უვნებლად გამოატარა რუსეთის პირველი თეატრი და იგი რევოლუციურ მუშათა კლასს გადასცა ახალი საბჭოთა თეატრალური კულტურის მშენებლობისათვის. ოქტომბრის რევოლუციას იუჟინი ღრმა რწმენით შეხვდა. იგი მხარში ამოუდგა სახალხო კომისარს ა. ლუნაჩარსკის საბჭოთა თეატრის მშენებლობის საქმეში. აღსრულდა ალ. სუმბათაშვილის ოცნება და მეცადინეობა: თეატრი ჩადგა ხალხის, მასების სამსახურში. ალ. სუმბათაშვილმა ყველაფერი იღონა იმისათვის, რათა მცირე თეატრი ორგანულად შერწყმოდა ახალ სინამდვილეს, საქმით, ახალი რეპერტუარით შეესრულებინა თეატრის ახალი ისტორიული მისია.

ალ. სუმბათაშვილი მთლიანი, მონოლითური პიროვნება იყო. მასთან მეგობრობდნენ და თანამშრომლობდნენ რუსული, ქართული და მსოფლიო კულტურის უდიდესი წარმომადგენლები. მის ნიჭს დიდ პატივს სცემდა ლ. ტოლსტოი, ხოლო ა. ჩეხოვი დიდად აფასებდა როგორც დრამატურგს, მსახიობსა და პირად მეგობარს, ეთათბირებოდა ხოლმე კულტურის საპრობლემო საკითხებზე. ა. ოსტროვსკი მისი მასწავლებელი იყო, მაქსიმ გორკის არაერთხელ აღუნიშნავს სუმბათაშვილის მაღალი ნიჭიერება სამწერლო და თეატრალურ სარბიელზე, ვ. ბრიუსოვი და იუჟინი მონაცვლეობით თავმჯდომარეობდნენ დრამატულ მწერალთა საზოგადოებას. საოცრად ფაქიზი იყო ალ. სუმბათაშვილის მეგობრობა პ. ჩაიკოვსკისთან, ნ. რუბინშტეინთან, ნ. რიმსკი-კორსაკოვთან, კ. ბალმონტთან. ა. ლუნაჩარსკი სუმბათაშვილს ეყრდნობოდა საბჭოთა თეატრის მშენებლობის ურთულეს საქმეში, მას თავის თანამებრძოლსა და მარჯვენა ხელს უწოდებდა.

ალ. სუმბათაშვილთან ახლო ურთიერთობაში იყვნენ და მას ანგარიშს უწევდნენ ელეონორა დუზე, სარა ბერნარი, ანატოლ ფრანსი, როდენი, მ. ბატისტინი, ერნესტ პოსარტი, ერნესტო როსი, ტომაზო სალვინი, ნუშიჩი და დასავლეთის სხვა ცნობილი მწერლები და ხელოვნების მოღვაწეები.

განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვის ალ. სუმბათაშვილ-იუჟინს რუსული და ქართული კულტურის შემდგომი დაახლოების, მათ შორის ურთიერთობის განმტკიცების საქმეში. უცვლელი თავმჯდომარე იყო მოსკოვის ქართველი საზოგადოებისა, რომლის ღვაწლი რუსი და ქართველი ხალხის ისტორიული მეგობრობის განმტკიცებაში და ქართული კულტურის პროპაგანდის საქმეში მეტად დიდია. იგი ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის ეროვნულ-განმათავისუფლებელ იდეებზე გაიზარდა. ოჯახსა და თბილისის გიმნაზიაში შეითვისა ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების დემოკრატიული ტრადიციები. ეროვნულ კულტურაზე აღზრდილი ალ. სუმბათაშვილი დიდ ენერგიას ახმარდა ქართული კულტურის განვითარებას, მის პროპაგანდას. რუსულ ენაზე რუსთაველის პოემის თარგმნა, ილიას, აკაკის, ვაჟას, ნიკოლოზ ბარათაშვილის, ყაზბეგის საღამოები მოსკოვის უნივერსიტეტში, მოსკოვში ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის სახელობის სამეცნიერო საზოგადოებების ჩამოყალიბება, ქართული ბიბლიოთეკის შექმნა მოსკოვში, ქართული თეატრისათვის კადრების მომზადება რუსეთში (მოსკოვში, პეტერბურგში) თუ უცხოეთში და მრავალი სხვა მნიშვნელოვანი ღონისძიება ხორციელდებოდა ა. სუმბათაშვილის ინიციატივით, მისი ხელმძღვანელობითა და უშუალო მონაწილეობით.

იუჟინს თავდავიწყებით უყვარდა მშობლიური საქართველო. მხოლოდ თავის ქვეყანაზე უზომოდ შეყვარებულ ადამიანს შეეძლო საიუბილეო საღამოზე (1908 წ.), მთელი რუსეთის მოწინავე ინტელიგენციის წინაშე ეთქვა: „ვკოცნი ძვირფას სამშობლო მიწას... მე მზად ვარ ეს მიწა ჩემი სისხლით მოვრწყა... სისხლხორცეულად ვარ დაკავშირებული ყველა მის სიხარულთან და ტანჯვასთან... რა ბედნიერებაა და რა საამაყოა, რომ მე ქართველი ვარ!“.

დიდად საამაყოა, რომ რუსული თეატრისა და კულტურის ისტორიის შესწავლისას ვერავინ გვერდს ვერ აუვლის ჩვენი თანამემამულის ალ. სუმბათაშვილის უზარმაზარ ფიგურას. ეს კოლოსალური პიროვნება მთელი თავისი შემოქმედებით და მემკვიდრეობით უსაზღვრო პატივისცემას და სიყვარულს იწვევს.

ისეთი ადამიანები, როგორიც ალ. სუმბათაშვილ-იუჟინია, თავიანთი ბიოგრაფიით, თავიანთი ნაღვაწით, შემართებით, თავიანთი პიროვნული მრწამსით და თვისებებით შემდგომი ეპოქების და დროის თანამგზავრები ხდებიან. ისინი გარდაცვალების შემდგომაც აქტიურად მონაწილეობენ ქვეყნის წინსვლასა და განვითარებაში. ალ. სუმბათაშვილ-იუჟინი დღესაც ჩვენი თანამედროვეა და მომავალშიც თანამედროვე იქნება.

**დავით ჩხიკვიშვილი.**

# ყველასათვის გასაგები მოდების ენა

### დამთავრდა სსრ კავშირ-ამერიკის ტანსაცმლის დიზაინერთა სემინარი

**ორასი ახალგაზრდული საყოველდღეო კომპლექტი შეიმუშავეს თბილისში ერთი კვირის მანძილზე საბჭოთა და ამერიკელმა ტანსაცმლის დიზაინერებმა. ეს მოხერხებული, ლამაზი სამოსი სსრ კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში 1988 წლის შემოდგომაზე დაინერგება სერიულ წარმოებაში.**

**ერთობლივმა მუშაობამ, პირადმა კონტაქტებმა, ჩინებულმა პირობებმა, რომლებიც შეუქმნეს საბჭოთა და ამერიკელ დიზაინერებს, სემინარის მონაწილეთა ერთსულოვანი აზრით, ხელი შეუწყო შემოქმედებითი სემინარის მთავარი მიზნის მიღწევას — დაემყარებინათ ურთიერთგაგების, ნდობის ატმოსფერო.**

**მოსკოვში გამგზავრების წინ, სადაც 16 სექტემბერს დაიწყო „ამერიკის შეერთებული შტატების ტანსაცმლის დიზაინერთა კვირეული“, კორესპონდენტმა სთხოვა სემინარის მონაწილეებს გაეზიარებინათ შთაბეჭდილებები.**





**კრისტოფერ ფალონი** — დალასში „ტობიკოს“ კომპანიის პრეზიდენტი:

— ბედნიერი ვარ, რომ მონაწილეობა მივიღე მოვლენებში, რომლებიც მეოცე საუკუნის დიზაინის ისტორიაში შევა. ასეთი სემინარი მსოფლიოში პირველად ეწყობა. დიზაინერები შეიკრიბნენ, რათა შეთანხმებულად იმუშაონ. დიზაინი, მოდა ზოგადსაკაცობრიო ფასეულობის კატეგორიებია.

ერთობლივი მუშაობის პირველი საათიდანვე ყოველი ჩვენგანი მიხვდა, რა ბევრი რამის გაკეთება შეუძლიათ ადამიანებს, როცა ერთმანეთს უგებენ. ჩვენ შევქმენით ახალგაზრდული ტანსაცმლის არცთუ უხეირო კომპლექტები, რომლებშიც გათვალისწინებულია თანამედროვე დიზაინის მიღწევები, ორი ქვეყნის ტრადიციებისათვის დამახასიათებელი ნიშნები და თუ ხვალ საბჭოთა და ამერიკელ ადამიანებს მოეწონებათ ჩვენი მოდელები, თუ ჩვენ იაფად, ლამაზად და კოხტად ჩავაცმევთ მათ, მიზანს მივაღწევთ.

**ლესლი ვილკი** — ტეხასის ქალთა უნივერსიტეტის პროფესორი:

— თბილისის სემინარის ერთობლივ შემოქმედებით მუშაობაში ჩაბმული ოცი დიზაინერის შეხვედრა სრული ურთიერთგაგებით დაგვირგვინდა. რატომ არ შეიძლება ასე მოიქცეს პლანეტის ყველა ადამიანი? ამას ხშირად ვეკითხები საკუთარ თავს და მგონია, რომ პასუხსაც ვპოულობ: უნდა ვიბრძოლოთ, ერთად ვიბრძოლოთ, შთავაგონოთ ადამიანებს მშვიდობის იდეები.

ტელევიზორით ვუყურეთ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ბატონ ედუარდ შევარდნაძისა და მისი თანმხლები პირების ჩვენს ქვეყანაში შეხვედრის ცერემონიას და ეკრანთან გავირინდეთ. მთელი გულითა და სულით ვუსურვებთ, რომ მისი მისია ისევე წარმატებით დამთავრებულიყოს, როგორც ჩვენი, რომ ჩვენმა ქვეყნებმა და ლიდერებმა საერთო ენა გამონახონ, რათა გაიმარჯვოს „მშვიდობის პოლიტიკის“ იდეამ.

**ნატალია ორსკაია** — მოდელების საკავშირო სახლის მხატვარი მოდელიორი:

— მე ვქმნი ახალგაზრდულ მოდას. მისი უშუალო დანიშნულების გარდა, მან ჩვენი აზრით, ქალიშვილებსა და ჭაბუკებს სულიერი საზრდოც უნდა მიაწოდოს. ამერიკელი კოლეგებიც ასეთი აზრისანი არიან.

მე მომიწია ჯინი ჯუანთან, ახალგაზრდა ნიჭიერ მხატვართან ერთად მუშაობა, და თუ პირველ დღეს რაღაც უხერხულობას ვგრძნობდით და წამდაუწუმ თარჯიმანს მივმართავდით დახმარებისათვის, კვირის დამლევს უკვე კარგად გვესმოდა ერთმანეთის. ჩვენგან, საბჭოთა დიზაინერებისაგან განსხვავებით ამერიკელები მუდამ გასაღების ბაზარზე, მასობრივ პროდუქციაზე ფიქრობენ. აი, ეს უნდა ვისწავლოთ მათგან.

მადლობას ვუხდით თბილისელ ოსტატებს, რომლებსაც კარგად ესმოდათ ჩვენი ჩანაფიქრი და მარჯვედ ახორციელებდნენ. ამის შედეგად მოსკოვში მიგვაქვს თბილისში შემუშავებული შესანიშნავი ესკიზების უკვე ხორცშესხმული ნიმუშები. მკაცრი შერჩევის შემდეგ, ბევრი მოდელი სერიულად გამოვა. ვიმედოვნებთ, რომ ისინი გაახარებენ საბჭოთა და ამერიკელ ახალგაზრდებს.

* * *



**სურათებზე: საბჭოთა და ამერიკელ დიზაინერთა მიერ შემუშავებული ერთ-ერთი მოდელი; საბჭოთა და ამერიკელი დიზაინერები მუშაობის დროს.**

**ე. რასოევის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).**

# გუშინ, დღეს, ხვალ

**ფაქტი ◆ მოვლენა ◆ კომენტარი**

**შეხვედრები მოძმე საქართველოსთან საბჭოთა ლიტვის დედაქალაქ ვილნიუსში დაიწყო ქართული კინოხელოვნების კვირეულით, რომელიც**

## ეძღვნება დიად იუბილეს

— ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის სამოცდაათი წლისთავს. ვილნიუსის კინოთეატრებში უჩვენებენ „ქართული ფილმის“ მიერ შექმნილ ბევრ კინოსურათს.

კვირეულზე ნაჩვენები იქნება თ. აბულაძის „ვედრება“, „ნატვრის ხე“, „მონანიება“. უჩვენებენ აგრეთვე ო. იოსელიანის „გიორგობისთვეს“, ა. რეხვიაშვილის „მე-19 საუკუნის ქართულ ქრონიკას“ და სხვა ფილმებს.

▲▲

**მოსკოვში სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე, სადაც წიგნის მეექვსე საერთაშორისო გამოფენა-ბაზრობა გაიმართა, ჩვენი რესპუბლიკის ექსპოზიციაში წარმოდგენილი იყო წიგნი**

## „ავღანეთის მერიდიანზე“

იგი გამოუშვა გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ“. წიგნის ავტორია სამხედრო ჟურნალისტი, კაპიტანი მ. სირტლანოვი, რომელიც ამიერკავკასიის წითელდროშოვან სამხედრო ოლქში მოსვლამდე მსახურობდა ავღანეთის დემოკრატიულ რესპუბლიკაში საბჭოთა ჯარების შეზღუდული კონტინგენტის შემადგენლობაში.

**„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტების, საქდესისა და საქინფორმის მასალები ამ რუბრიკისათვის მოამზადა გ. ბახტურიძემ.**

**გაუმჯობესდა** ლიტვისა და საქართველოს დედაქალაქებს შორის საჰაერო მიმოსვლა. 16 სექტემბერს ვილნიუს-თბილის-ვილნიუსის მარშრუტით კურსი აიღო „იაკ-42“ ახალმა ავიალაინერმა. იგი კომფორტულია. თავის წინამორბედთან „ტუ-134 ა“ თვითმფრინავთან შედარებით ერთნახევარჯერ მეტ ხალხს იტევს — ერთდროულად შეუძლია 120 მგზავრის გადაყვანა. კონტეინერიზაციამ დააჩქარა მისი დატვირთვა-განტვირთვის სამუშაოები და ბარგის გაცემა. ყველა ეს ოპერაცია მთლიანად მექანიზებულია.

# პირველი რეისი

ფრენას ასრულებს ეკიპაჟის სამი წევრი უახლესი სანავიგაციო სისტემების გამოყენებით. ელექტრონიკის საშუალებით რეისი წინასწარ დაპროგრამებულია და „იაკ-42“ მიჰყავს ელექტრონულ-გამომთვლელ მანქანას, რომელიც ეკიპაჟის მოთხოვნით იძლევა ყველა საჭირო სანავიგაციო ინფორმაციას.

ვილნიუსი უკვე მეორე ქალაქია, რომელთანაც საქართველოს დედაქალაქს ურთიერთობა აქვს ახალი თაობის ამ თვითმფრინავით. (საქინფორმი).

# სპორტი

### მსოფლიო პირველობა ჭადრაკში

# გარი კასპაროვის „ბანაკში“

**საჭადრაკო სამყარო მოუთმენლად მოელის მორიგ მატჩს მსოფლიო პირველობაზე გარი კასპაროვსა და ანატოლი კარპოვს შორის. როგორც ცნობილია, ეს მატჩი მოეწყობა სევილიაში (ესპანეთი) და 10 ოქტომბერს იწყება. ის, რომ წინა სამმა მატჩმა უკიდურესად დაძაბულად ჩაიარა და არც ერთ დიდოსტატს არა ჰქონდა თვალსაჩინო უპირატესობა, იმედებს უსახავს როგორც ერთი, ისე მეორე „ბანაკის“ წარმომადგენლებს. ექსპერტების აზრიც გაიყო: ნაწილი კასპაროვის გამარჯვებას ელის, ზოგი კი ფიქრობს, რომ კარპოვი დაიბრუნებს მსოფლიო ჩემპიონის წოდებას. დღეიდან ვაქვეყნებთ მასალებს მომავალი მატჩის მონაწილეების მზადების შესახებ.**

**როცა** მსოფლიოს უძლიერესი მოჭადრაკეების უახლესი „რანგლისტი“ (ძალთა შედარებითი ნუსხა) გამოქვეყნდა, გამოირკვა, რომ გარი კასპაროვს 2740 ქულა აქვს და მთელი 30 ქულით უსწრებს მომდევნო ადგილზე მყოფ ანატოლი კარპოვს. ეს ნიშნავს, რომ 1987 წლის პირველი ნახევრის ტურნირების შედეგებით კასპაროვის პოზიციები საჭადრაკო სამყაროში კიდევ უფრო განმტკიცდა.

წლის პირველ ნახევარში კასპაროვმა „სწრაფ ჭადრაკში“ (მთელ პარტიაზე მოჭადრაკეს მხოლოდ 25 წუთი ეძლეოდა) მატჩი მოუგო გამოჩენილ ინგლისელ დიდოსტატს ნაიჯელ შორტს (4:2), პირველი-მეორე ადგილები გაიყო ბრიუსელის სუპერ-ტურნირში იუგოსლავ ლუბომირ ლიუბოევიჩთან, აქვე გაიმარჯვა ელვისებურ შეჯიბრებაში, შემდეგ კი მოსკოვში მონაწილეობდა სამი ნაკრების მატჩ-ტურნირში. ამის შემდეგ კასპაროვმა გამოაცხადა, რომ კარპოვთან შეხვედრამდე აღარ ითამაშებდა და დაპირება შეასრულა კიდეც.

მატჩისათვის მზადება კასპაროვმა დაიწყო ბაქოს მახლობლად მდებარე კურორტ ზაგულბაში, სწორედ იქ, სადაც ადრინდელი შეჯიბრებების დაწყების წინაც იყო ხოლმე. რა თქმა უნდა, კარპოვთან მატჩისათვის მზადებას ის გარემოებაც აადვილებს, რომ მათ შორის უკვე სამი დიდი ორთაბრძოლა იყო. მაგრამ, მეორე მხრივ, ცხადია, ყოველი ახალი მატჩი ახალ პრობლემებს აყენებს ხოლმე.

გარი კასპაროვის „შტაბში“ ამჟამად შედიან ცნობილი დიდოსტატი იოსებ დორფმანი, მისი პირველი მასწავლებელი, ცნობილი თეორეტიკოსი, ოსტატი ალექსანდრე ნიკიტინი და ბაქოელი ოსტატი ალექსანდრე შაქაროვი. მსოფლიო ჩემპიონთან თანამშრომლობა დაიწყო საერთაშორისო ოსტატმა ზურაბ აზმაიფარაშვილმა, რომელსაც დიდ პრაქტიკულ გამოცდილებასთან ერთად საინტერესო სადებიუტო იდეებიც აქვს.

თეორიულ მზადებასთან ერთად მსოფლიო ჩემპიონი, რა თქმა უნდა, დიდ ყურადღებას უთმობდა ფიზიკურ წრთობას.

— ყოველდღიურად სამ კილომეტრს დავრბივარ, ვცურავ და ვთამაშობ ჩოგბურთს, რომელიც ძალიან შემიყვარდა. კარპოვთან მატჩამდე ყოველგვარ შეჯიბრებაზე უარი ვთქვი. ახალი იდეები მჭირდება და არა ტურნირები.

ამავე დროს კასპაროვმა ისიც თქვა, რომ კმაყოფილია მატჩის მოწყობის ადგილად სევილიის არჩევით, აგრეთვე მსაჯთა კოლეგიისა და სააპელაციო კომიტეტის შემადგენლობით.

ზაგულბას შემდეგ მსოფლიო ჩემპიონმა ქალაქ კახში გააგრძელა მზადება. აგვისტოში მან გამონახა დრო და რამდენიმე დღით ვილნიუსში იყო, სადაც ბოტვინიკ-კასპაროვის საჭადრაკო სკოლის სესია მიმდინარეობდა. მსოფლიო ჩემპიონ მაია ჩიბურდანიძესთან ერთად კასპაროვი მონაწილეობდა ლიტვაში პირველი საჭადრაკო ორგანიზაციის დაარსების 100 წლისთავისადმი მიძღვნილ დიდ ზეიმში. აქ მან გამართა ერთდროული თამაშის სეანსი 26 დაფაზე ძლიერი მეტოქეების წინააღმდეგ (მათ შორის 20 ოსტატობის კანდიდატი იყო) და ჩინებული შედეგით დაამთავრა: 22 პარტია მოიგო, 4 კი ყაიმით დასრულდა.

კასპაროვ-კარპოვის მორიგ, მეოთხე მატჩამდე დიდი დრო აღარ რჩება. საჭადრაკო სამყარო მოუთმენლად მოელის მსოფლიოს ამ ორი უძლიერესი მოჭადრაკის ასპარეზობის ახალ რაუნდს.

**გ. გამრეკელი.**

### რესპუბლიკის ჩემპიონატზე

# რაც ასე გვჭირდება

**რესპუბლიკის ჩემპიონატი ის შეჯიბრებაა, სადაც მოწმდება ჩვენი სპორტის რეზერვი, ცალკეულ რეგიონებში სპორტის ამა თუ იმ სახეობის განვითარების ავ-კარგი. საქართველოს წყალბურთელთა ჩემპიონატმა (ეს ასპარეზობა გუშინ დამთავრდა თბილისის განათლების სამმართველოს წყალბურთის სპეციალიზებული სკოლის საცურაო აუზში) ბევრ კითხვაზე გაგვცა პასუხი.**

შეჯიბრება ახალი სისტემით მოეწყო: ჯერ ორ ეტაპად გაიმართა წინასწარი შეხვედრები, ბოლოს კი ფინალური ტურნირი მოეწყო: წყალბურთის პოპულარიზაციის მიზნით, ორგანიზატორებს გადაწყვეტილი ჰქონდათ სამივე ტური სხვადასხვა ქალაქში გაემართათ. ჩემპიონატმა სტარტი ქუთაისში აიღო, მაგრამ სოხუმში მომდევნო ტურის გამართვა ვერ მოხერხდა, და ზედიზედ ორი ტურის მასპინძლობა თბილისს მოუწია.

ჩემპიონატის ფავორიტი თბილისის უნივერსიტეტის პირველი ნაკრები იყო. საქმე ის არის, რომ აქ ძირითადად „დინამოს“ ოსტატ წყალბურთელთა გუნდის წევრები თამაშობდნენ (დინამოელებს უფლება მისცეს იმ კოლექტივის ღირსება დაეცვათ, სადაც ისინი სწავლობენ). უნივერსიტეტელებმა საბოლოოდ 11 ქულა დააგროვეს და საქართველოს ჩემპიონის წოდებას დაეუფლნენ. მათ სამი ქულით ჩამორჩა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ნაკრები, მესამე ადგილზე კი 4 ქულით ქუთაისის „ქიმიკოსი“ გამოვიდა. პრიზიორებმა, აგრეთვე მეოთხე ადგილზე გამოსულმა სოხუმის „დინამომ“ საკმაოდ კარგი ოსტატობა გვიჩვენეს.

განსაკუთრებით შესამჩნევია ქუთაისის გუნდის პროგრესი. ამ ქალაქში არაერთი ცნობილი წყალბურთელი აღზრდილა. აქამდე რესპუბლიკის პირველი გუნდი შევსებას ძირითადად სწორედ ქუთაისიდან ღებულობდა, ახლა სოხუმელთა რიგებშიც გამოჩნდნენ პერსპექტიული წყალბურთელები.

ხანგრძლივი „მტილის“ შემდეგ ბათუმშიც დაიძრა საქმე, სადაც წყალბურთი უყურადღებოდ იყო მიტოვებული. შარშანწინ, როგორც იქნა, „დინამოს“ რამდენიმე ჯგუფი გაიხსნა. ამ სპორტსაზოგადოების 60-მდე წყალბურთელი პროფკავშირების სპორტულ კომპლექსში ვარჯიშობს. სწორედ მათი რიგებიდან დაკომპლექტდა გუნდი, რომელმაც წელს მეორედ იასპარეზა რესპუბლიკურ ჩემპიონატში.

წყალბურთის მასობრიობის ზრდა არ უნდა შენელდეს, რესპუბლიკის ბევრ სხვა ქალაქსა და რაიონშიც არის ამ სახეობის სპორტის განვითარების შესაძლებლობა. მასობრიობა, მოგეხსენებათ, ნიჭიერი ახალგაზრდების წარმოჩენის აუცილებელი პირობაა. ახალი ცვლა კი ერთობ სჭირდება ჩვენი რესპუბლიკის პირველ გუნდს — თბილისის „დინამოს“.

**გ. ელგუჯაური.**

# უკანასკნელ საათს

**გუშინ** გაიმართა ევროპის საკლუბო გუნდების ტურნირების საწყისი ეტაპის მატჩები ჩემპიონთა, თასების მფლობელთა და უეფას თასებზე. გთავაზობთ რამდენიმე მატჩის შედეგებს: კიევის „დინამო“-შოტლანდიის „გლაზგო რეინჯერსი“ — 1:0, მინსკის „დინამო“-თურქეთის „გენჩლერბირლიგი“ — 2:0, მოსკოვის „სპარტაკი“-გდრ-ის „დინამო“ (დრეზდენი) — 3:0, ლენინგრადის „ზენიტი“-ბელგიის „ბრიუგე“ — 2:0.

**თბილისის „დინამო“** უეფას თასის გათამაშების ოცდამეთორმეტედფინალურ მატჩს დღეს გამართავს სოფიაში ადგილობრივ „ლოკომოტივთან“. დინამოელთა უფროსმა მწვრთნელმა გერმან ზონინმა ამ მატჩისათვის გუნდის შემადგენლობაში შეიყვანა 17 ფეხბურთელი: ო. გაბელია, გ. ჭანტურია, თ. სულაქველიძე, ა. ჩივაძე, ზ. სვანაძე, მ. არზიანი, ა. ცვეიბა, ს. ჭედია, ზ. რევიშვილი, ნ. კაკილაშვილი, გ. გურული, რ. შენგელია, გ. ფირცხალავა, ო. კორღალიძე, გ. აჯოევი, ჯ. ჯუბაზი და მ. ფანცულაია.

# სატურნირო ორბიტა

**ჩაიბიანი ჰოკეი.** გაიმართა კანადის თასის გათამაშების შესამე, გადამწყვეტი მატჩი ამ ქვეყნისა და სსრ კავშირის ნაკრებ გუნდებს შორის. ეს შეხვედრა ანგარიშით 6:5 მოიგეს კანადელებმა და, ცხადია, ისინი დაეუფლნენ თასს.

**ველოსპორტი.** ლიტვის ქალაქ კლაიპედაში გამართულ დიხამოელ სპორტსმენთა საკავშირო შეჯიბრებაზე თავი ისახელა თბილისელმა **ვლადიმერ ადამაშვილმა.** მან 1 კილომეტრზე სპრინტერულ რბოლაში პირველი ადგილი მოიპოვა, 200 მეტრზე სვლით პიტში — მეორე, ხოლო 1000 მეტრზე ადგილიდან პიტში წყვილთა რბოლაში **გოჩა ბეჟანიშვილთან** ერთად მეორე იყო. ადამაშვილი, ბეჟანიშვილი და **კონსტანტინე ჭვარშეიშვილი** გამოთიშვით სამ წრეზე გუნდურ რბოლაში მესამე ადგილზე გამოვიდნენ. თბილისელმა **თემურ გიგოლაევმა** ას წრეზე (20 საშუალედო ფინიშით) ჯგუფურ რბოლაში მეორე საპრიზო ადგილი დაიკავა.

**რედაქტორი ნ. ფოფხაძე**

# მძღოლებო, ნუ დააობლებთ თქვენს ოჯახებს!

**საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო ავტოინსპექციის სამმართველომ საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევათა თავიდან აცილებისა და მოძრაობის წესების უხეშ დარღვევათა გამოვლინების მიზნით 12 სექტემბერს ქ. ბორჯომსა და ხაშურის რაიონში ჩაატარა ოპერატიულ-პროფილაქტიკური ღონისძიება. სავალალოა, მაგრამ ფაქტია, რომ ამ ორ რეგიონში მარტო ერთ ღამეს მოძრაობის წესები 805 მძღოლმა დაარღვია.**

აი ის ციფრები და ფაქტები, რომლებიც სახელმწიფო ავტოინსპექციის სამმართველომ რედაქციას აცნობა:

ავტომობილს გადაჭარბებული სიჩქარით მართავდა 117 მძღოლი, არასწორი გასწრება, მანევრირების წესების დარღვევა — 31, მართვის მოწმობის არქონე — 11, მოძრაობის მარეგულირებელი სიგნალების (საგზაო ნიშნები, შუქნიშანი, მონიშვნა) უგულებელყოფა — 59, ტექნიკურად გაუმართავი ავტომობილი — 14, სხვადასხვა დარღვევა — 63.

**ავტომანქანებს მთვრალი მართავდა 10 მძღოლი, მათ შორის:** ხაშურის ხორცკომბინატის ტექნოლოგი, სკკპ წევრი **დავით გურამის ძე გელაშვილი,** საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს კაპიტალური მშენებლობის სამმართველოს უფროსი, სკკპ წევრი **რემი პლატონის ძე გველესიანი,** ბორჯომის საექსკურსიო ბიუროს უფროსი, სკკპ წევრი **გიგა სერგოს ძე კობახიძე,** ბორჯომის საქალაქო საავადმყოფოს ექიმი **ვიაჩესლავ შოთას ძე გაგლოევი,** ბორჯომის №1 ჩამომსხმელი ქარხნის მუშა **ავთანდილ სიმონის ძე ნასყიდაშვილი,** ბორჯომის №83 მოძრავ-მექანიზებული კოლონის მღესავი **სერგო ვასილის ძე დალიბანდიანი,** ბორჯომის კინოფიკაციის მუშა **თემურ ელგუჯას ძე კამკამიძე,** ხაშურის ნავთობბაზის საწყობის გამგე **გიორგი თომას ძე გუგუბერიძე,** ხაშურის დამზადების კანტორის ტარის საწყობის გამგე **მევლუდ გიორგის ძე ბარბაქაძე,** ახალციხის წყალთა მეურნეობის მუშა **ნუგზარ გიორგის ძე გაჩეჩილაძე.**

კარგად დაუკვირდით ზემოთჩამოთვლილი ლოთი მძღოლების სიას. მასში ბევრია პარტიის წევრი, თანამდებობის პირი, რომლებიც თვითონ უნდა იყვნენ სხვებისათვის სანიმუშონი და მაგალითის მიმცემნი, მაგრამ სამწუხაროდ პირიქით ხდება. რატომ? ამ შეკითხვაზე პასუხს „კომუნისტი“ ელის პარტიის შესაბამისი რაიკომებიდან.

## მოსკოვი

17 სექტემბერი

პირველი პროგრამა. 6.00 — „90 წუთი“. 9.35 — მ. მუსორგსკი. სიუიტა ფორტეპიანოსათვის „სურათები გამოფენიდან“. 10.10 — გამოგვეხმაურეთ, მებუკენო! 10.40 — დოკუმენტური ტელეფილმები. 11.20 და 17.00 — ახალი ამბები. 17.15 — თანამედროვის პორტრეტი. დოკუმენტური ტელეფილმები. 18.05 — ახალი ამბები. 18.10 — ლიტვის ბავშვთა კოლექტივების კონცერტი. 19.10 — ფოტოკონკურსი „საყვარელო სამშობლოვ“. 19.15 — მეცნიერება და ცხოვრება. 19.45 — დღეს მსოფლიოში. 20.00 — მულტფილმები. 20.20 — ახალი ამბები. 20.25 — ტელესპექტაკლი „სრულიად წარმოუდგენელი ამბავი, ანუ გრაფი კალიოსტრო“. გ. ტარივერდიევის მუსიკა. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — გარდაქმნის პროჟექტორი. 22.50 — ხელოვნების ოსტატები. სსრკ სახალხო არტისტი ვ. ნ. პაშენაია. 23.50 — დღეს მსოფლიოში. 0.05 — მსოფლიო და ახალგაზრდობა.

მეორე პროგრამა. 9.00 — დილის ვარჯიში. 9.15 — დოკუმენტური ტელეფილმი „საიგაკები“. 9.35 და 10.35 — ინფორმატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის საფუძვლები. X კლასი. 10.05 და 14.25 — ესპანური ენა. 11.05 — პროფტექნიკური სასწავლებლებისათვის. ინდუსტრიალიზაციის კურსი. 11.35 და 12.40 — ბიოლოგია. VII კლასი. ობობები. 12.00 — ანბანა. 12.30 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი. 13.05 — „სურათი“. III სერია. 14.55 — ახალი ამბები. 15.00 — კემეროვოს ტელესტუდიის პროგრამა. 19.00 — ახალი ამბები. 19.15 — სოფლის საათი. 20.15 — მღერის და ცეკვავს ახალგაზრდობა. 20.30 — რიტმული ტანვარჯიში. 21.00 — „ძილი ნებისა, პატარებო!“. 21.15

## ცისფერ ეკრანზე

— რეკლამა. 21.20 — კალათბურთი. საკონტინენტთაშორისო თასი. ბრაზილიის „მონტე ლიბანო“ — კაუნასის „ჟალგირისი“. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — გარდაქმნის პროჟექტორი. 22.50 — ფეხბურთი. უეფას თასი. 1/32 ფინალი. სოფიის „ლოკომოტივი“ — თბილისის „დინამო“. შესვენებისას — 23.35 — ახალი ამბები.

## თბილისი

17 სექტემბერი

პირველი პროგრამა. 8.00 — „90 წუთი“. 9.35 — მოამბე. 16.05 — საინფორმაციო გამოშვება (რუსულ ენაზე) 16.15 — დღეს თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე. 16.25 — ცენტრალური ტელევიზიის გაცვლითი ფონდიდან. სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „სიცოცხლის თარგი“. 17.20 — დოკუმენტური ფილმი „ადამიანის სახე“. 17.30 — კომპოზიტორ ნუნუ გაბუნიას შემოქმედებითი საღამო. 18.05 — განცხადებები. 18.10 — „სოცშეჯიბრება — ახალ საფეხურზე“. სოციალისტური შეჯიბრების ახალი ფორმები ფაბრიკა „ნარიყალაში“. 19.00 — დიდი ოქტომბრის 70 წლისთავისათვის. საბავშვო პროგრამების საკავშირო სატელევიზიო ფესტივალი. „მეგობრობა გზად და ხიდად“. 19.45 — დღეს მსოფლიოში. 20.00 — მოამბე. 20.35 — წერილის დღე. 20.40 — გარდაქმნის წახნაგები. 21.00 — დირიჟორის პულტთანაა თენგიზ ჭუმბურიძე. 21.55 — წერილის დღე. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — გარდაქმნის პროჟექტორი. 22.50 — ფეხბურთი უეფას თასზე. სოფიის „ლოკომოტივი“ — თბილისის „დინამო“.

მეორე პროგრამა. 16.15 — სატელევიზიო მრავალსერიიანი მხატვრული ფილმი „მაიორი ვიხრი“. III სერია. 17.35 — „ჩვენს დიად სამშობლოში“. სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ხერსონი“. 17.55 — მოკლემეტრაჟიანი სატელევიზიო მხატვრული ფილმების პროგრამა. 18.55 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „გადაწყვეტილებების ჟამი“. 20.00 — მოამბე. 20.35 — სატელევიზიო მრავალსერიიანი მხატვრული ფილმი „დარჩენილი სიცოცხლისათვის“. I სერია.

## თეატრი

17 სექტემბერი

რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — დაკრძალვა კალიფორნიაში; მეტეხის — მდგმურები.

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66434 უე 07985 საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, ლენინის ქ. 74, იბეჭდება ოფსეტური წესით. საგაზეთო კორპუსი, ხოშარაულის ქ. 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14